

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №304

2022 წლის 8 ივნისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ“.

მუხლი 2

სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალები და ნაკეთობები (საგნები), რომლებიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებულ იქნეს დადგენილების ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ მათი წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს, იმ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისადმი (საგნებისადმი), რომლებიც იწარმოება ან/და ბაზარზე განთავსებულია ერთ-ერთი დანიშნულებით:

- ა) განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის;
- ბ) უკვე შეხებაშია სურსათთან;
- გ) მეტნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოვიდეს შეხებაში სურსათთან.

3. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ბაზარზე განთავსებულ მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე), რომლებიც მიეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიებს:

- ა) მასალები, ნაკეთობები (საგნები) და მათი ნაწილები, რომლებიც შედგება მხოლოდ პლასტმასისაგან;
- ბ) პლასტმასის მრავალშრიანი მასალები და ნაკეთობები (საგნები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია წებოვანი ნივთიერებებით ან სხვა საშუალებებით;
- გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მასალები და ნაკეთობები (საგნები), რომლებიც დაბეჭდილია და/ან დაფარულია საფარით;
- დ) პლასტმასის შრეები/ფენები და პლასტმასის საფარი, რომლებიც წარმოადგენენ ხუფების და თავსახურავის შუასადებს და რომლებიც თავსახურავთან და ხუფებთან ერთად წარმოადგენენ ორი ან მეტი სხვადასხვა მასალისგან შემდგარ მრავალშრიან ნაკრებს/კომპლექტს;
- ე) პლასტმასის შრეები/ფენები მრავალშრიან მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში), რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა მასალისგან.

4. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ბაზარზე განთავსებულ მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე):

- ა) იონმიმოცვლითი ფისები;
- ბ) რეზინი/კაუჩუკი;
- გ) სილიკონი.

5. ტექნიკური რეგლამენტი არ ადგენს მოთხოვნებს ტიპოგრაფიული სადებავებისთვის, წებოვანი ნივთიერებების ან საფარისათვის, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პლასტმასის მასალები და ნაკეთობები (საგნები) – პლასტმასის მასალები და ნაკეთობები (საგნები), რომლებიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და ასევე პლასტმასის შრეები/ფენები, რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

ბ) პლასტმასი – პოლიმერი, რომელსაც შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს დანამატები ან სხვა ნივთიერებები და რომლებიც საბოლოო მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში) შეიძლება ფუნქციონირებდეს ძირითადი სტრუქტურული კომპონენტის სახით;

გ) პოლიმერი – ნებისმიერი მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მიღებულია მონომერების ან სხვა ნედლეულისგან პოლიმერიზაციის ისეთი პროცესებით, როგორებიცაა პოლიმირება ან პოლიკონდენსაცია, ან სხვა ნებისმიერი მსგავსი პროცესით, ბუნებრივი ან სინთეზური მაკრომოლეკულების ქიმიური მოდიფიკაციით, მიკრობული ფერმენტაციით;

დ) მრავალშრიანი პლასტმასი – მასალა ან ნივთი (საგანი), რომელიც შედგება პლასტმასის ორი ან მეტი შრისაგან;

ე) მრავალშრიანი პოლიმასალა – მასალები ან ნაკეთობები (საგნები), რომლებიც შედგება სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ორი ან მეტი შრისაგან, რომელთაგან, სულ მცირე, ერთი შრე/ფენა მაინც წარმოადგენს პლასტმასს;

ვ) მონომერი ან სხვა საწყისი ნივთიერება – ნივთიერება, რომელიც პოლიმერების წარმოებისთვის ექვემდებარება ნებისმიერი ტიპის პოლიმერიზაციის პროცესს, ან ბუნებრივი ან სინთეზური მაკრომოლეკულური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება მოდიფიცირებული მაკრომოლეკულების წარმოებაში, ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ბუნებაში არსებული ან სინთეზური მაკრომოლეკულების ცვლილებისათვის;

ზ) დანამატი – ნივთიერება, რომელიც ფიზიკური ან ქიმიური ეფექტის მისაღწევად მიზნობრივად ემატება პლასტმასს ან მზა მასალებსა და ნაკეთობებს (საგნებს) დამუშავების დროს და რომელიც არსებობს მზა მასალებსა და ნაკეთობებში (საგნებში);

თ) პოლიმერის წარმოების დამხმარე საშუალება – ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც გამოიყენება პოლიმერის ან პლასტმასის დამზადებისას სათანადო გარემოს უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება არამიზნობრივად არსებობდეს საბოლოო მასალებში ან ნაკეთობებში (საგნებში) და არანაირ ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას არ ახდენს საბოლოო მასალებსა ან ნაკეთობებზე (საგნებზე);

ი) არამიზნობრივად (არაგანზრახ) დამატებული ნივთიერება – გამოყენებულ ნივთიერებებში არსებული მინარევი ან წარმოების პროცესში წარმოქმნილი, ან დაშლის ან რეაქციის პროდუქტებში წარმოქმნილი შუალედური ნივთიერება;

კ) პოლიმერიზაციის დამხმარე საშუალება – ნივთიერება, რომელიც ახდენს პოლიმერიზაციის ინიცირებას და/ან აკონტროლებს მაკრომოლეკულური სტრუქტურის წარმოქმნას;

ლ) სრული მიგრაციის ზღვარი – (OML) – არააქროლადი/არამქროლავი ნივთიერებების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა მასალებისგან ან ნაკეთობებისაგან (საგნებისგან) სურსათის იმიტატორში;

მ) სურსათის იმიტატორი – მოდელური/საცდელი გარემო, რომელიც წარმოადგენს სურსათის იმიტაციას. სურსათის იმიტატორი, თავისი მოქმედებით, ახდენს სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებიდან ან ნაკეთობებიდან (საგნებიდან) მიგრაციის იმიტაციას;

ნ) სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი (SML) - სურსათში ან სურსათის იმიტატორში მასალებისა და ნაკეთობებისგან (საგნებისგან) გამოთავისუფლებული ნივთიერების მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა;

ო) სპეციფიკური მიგრაციის საერთო/სრული ზღვარი (SML-T) – სურსათში ან სურსათის იმიტატორში გადასული/მიგრირებული კონკრეტული ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა, გამოსახული როგორც ამ ნივთიერებების საერთო რაოდენობა;

პ) ფუნქციური ბარიერი – ბარიერი, რომელიც შედგება ნებისმიერი ტიპის მასალის ერთი ან მეტი შრისაგან და რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო მასალის ან ნაკეთობის (საგნის) შესაბამისობას „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებთან და ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ დებულებებთან;

ჟ) უცხიმო სურსათი/არაცხიმოანი სურსათი – სურსათი, რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №3-ის – „სურსათის იმიტატორები“ ცხრილი №7-ით – „სურსათის იმიტატორები სურსათის სპეციფიკური კატეგორიებისათვის“ და რომელთა გამოკვლევისას/ტესტირებისას გამოიყენება სხვა იმიტატორები, გარდა D1 და D2 სურსათის იმიტატორებისა;

რ) შეზღუდვა – ნივთიერების გამოყენების შეზღუდვა ან მიგრაციის ზღვარი ან ამ ნივთიერების შემცველობის შეზღუდვა მასალაში ან ნაკეთობაში (საგანში);

ს) სპეციფიკაცია – ნივთიერების შემცველობა, ნივთიერების სისუფთავის კრიტერიუმები, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, დეტალური მონაცემები მისი წარმოების პროცესის შესახებ, ან დამატებითი ინფორმაცია მიგრაციის ზღვრების გამოსახვის შესახებ;

ტ) ცხელი შევსება – ნებისმიერი ნაკეთობის შევსება სურსათით, რომლის ტემპერატურა შევსების დროს შეადგენს არაუმეტეს 100° C-ს, რომლის შემდეგაც სურსათი ცივდება 50°C-მდე ან უფრო დაბალ ტემპერატურამდე 60 წუთის განმავლობაში, ან 30°C-მდე ან უფრო დაბალ ტემპერატურამდე 150 წუთის განმავლობაში.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და სფეროს მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) ბაზარზე განთავსების პირობები

პლასტმასის მასალების და ნაკეთობების (საგნები) ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი:

ა) ნორმალურ ან მოსალოდნელ/პროგნოზირებად პირობებში გამოყენებისას აკმაყოფილებენ „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს;

ბ) აკმაყოფილებენ „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულ ეტიკეტირების მოთხოვნებს;

გ) აკმაყოფილებენ „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლით განსაზღვრულ მიკვლევადობის მოთხოვნებს;

დ) აკმაყოფილებენ „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის 15¹ მუხლით – „სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების კარგი საწარმოო პრაქტიკის შესახებ“ და ამავე დადგენილების დანართი №3-ის „დეტალური წესები კარგი წარმოების პრაქტიკის შესახებ“ „ბ“ პუნქტით – „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი გადაამუშავებული პლასტმასის მასალებისა და ნივთებისათვის“ განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5-16-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. დაშვებული ნივთიერებები

1. პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) წარმოებისათვის დასაშვებია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ით – „ნივთიერებები“ განსაზღვრული ნივთიერებების მიზნობრივი გამოყენება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნივთიერებები მოიცავს:

ა) მონომერებს ან სხვა საწყის ნივთიერებებს;

ბ) დანამატებს, გარდა საღებავებისა;

გ) პოლიმერების წარმოების დამხმარე საშუალებებს, გარდა გამხსნელებისა;

დ) მიკრობული ფერმენტაციით მიღებულ მაკრომოლეკულებს.

3. დანართი №1-ში ცვლილებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნივთიერებებისა, დასაშვებია ასევე იმ ნივთიერებების გამოყენება, რომელთა გამოყენება ხდება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 – მე-10 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის:

ა) ნივთიერებების ყველა მარილები, რომელთათვისაც დანართი №2-ის – „შეზღუდვები პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე)“ ცხრილი №5-ის – „პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისგან (საგნები) მიგრირებული ნივთიერებების მიგრაციის ზღვარის ჩამონათვალი“ მე-2 სვეტში მითითებულია „დიახ“ დასაშვები მჟავები, ფენოლები და სპირტები, ამავე ცხრილის მე-3 და მე-4 სვეტებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით;

ბ) ნარევიები, რომლებიც მიიღება დაშვებული ნივთიერებების შერევით, კომპონენტების ქიმიური რეაქციის გარეშე;

გ) სულ მცირე 1000 Da-ს მოლეკულური მასის მქონე ბუნებრივი ან სინთეზური პოლიმერული ნივთიერებები, გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულებისა, რომლებიც გამოიყენება დანამატებად, თუ მათ მზა მასალებში ან ნაკეთობებში (საგნებში) შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც ძირითადი სტრუქტურული კომპონენტი;

დ) პრეპოლიმერები (ფორპოლიმერები) და ბუნებრივი ან სინთეზური მაკრომოლეკულური ნივთიერებები მონომერად ან სხვა საწყისი ნივთიერებად გამოყენებისას, ასევე მათი ნარევები, გარდა მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულებისა, თუ მათი სინთეზისთვის საჭირო მონომერები ან საწყისი ნივთიერებები შედის დაშვებული ნივთიერებების სიაში.

5. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნივთიერებებისა, პლასტმასის მასალების და პლასტმასის ნაკეთობების (საგნებში) პლასტმასის შრეებში/ფენებში დასაშვებია შემდეგი ნივთიერებების არსებობა:

- ა) არამიზნობრივად (არაგანზრახ) დამატებული ნივთიერებები;
- ბ) პოლიმერიზაციის დამხმარე საშუალებები.

მუხლი 6. ზოგადი მოთხოვნები ნივთიერებების მიმართ

პლასტმასის მასალებში და ნაკეთობებში (საგნებში), პლასტმასის შრეების/ფენების წარმოებაში გამოყენებული ნივთიერებები უნდა იყოს სათანადო ტექნიკური ხარისხისა და სისუფთავის, რომელიც შესაფერისია მასალების ან ნაკეთობების (საგნების) მიზნობრივი და მოსალოდნელი გამოყენებისათვის. ნივთიერების შემადგენლობა ცნობილი უნდა იქნეს ბიზნესოპერატორისათვის და მოთხოვნის შემთხვევაში – ხელმისაწვდომი სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის.

მუხლი 7. სპეციფიკური მოთხოვნები ნივთიერებების მიმართ

1. პლასტმასის მასალებში და პლასტმასის ნაკეთობებში (საგნებში) პლასტმასის შრეების/ფენების დასამზადებლად გამოყენებული ნივთიერებები ექვემდებარებიან შემდეგ შეზღუდვებს და სპეციფიკაციებს:

- ა) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლით განსაზღვრული სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი;
- ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლით განსაზღვრული სრული მიგრაციის ზღვარი;
- გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ის – „ნივთიერებები“ ნაწილი 1-ის „დაშვებული მონომერების, სხვა საწყისი ნივთიერებების, მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულების, დანამატების და პოლიმერების წარმოების დამხმარე საშუალებების“ ცხრილი №1 – „პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) წარმოებისათვის დაშვებული ნივთიერებები“-ის მე-10 სვეტით განსაზღვრული შეზღუდვები და სპეციფიკაციები;
- დ) დანართი №1-ის ნაწილი 4-ით განსაზღვრული „ნივთიერებების დეტალური სპეციფიკაციები“.

2. ნაწარმში არსებული ნივთიერებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაშვებულია და მოცემულია დანართი №1-ით განსაზღვრულ სპეციფიკაციებში.

მუხლი 8. ზოგადი შეზღუდვები პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე)

პლასტმასის მასალებთან და ნაკეთობებთან დაკავშირებული ზოგადი შეზღუდვები მოცემულია დანართი №2-ში – „შეზღუდვები პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე)“ .

მუხლი 9. სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი

1. პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნებიდან) მათი შემადგენელი კომპონენტების სურსათში გადასული/მიგრირებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დანართი №1-ით განსაზღვრულ სპეციფიკური მიგრაციის ზღვარს. ნივთიერების სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი გამოსახულია მგ-ში, სურსათის ყოველ კილოგრამზე გადაანგარიშებით (მგ/კგ) .

2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათში გამოსაყენებლად დაშვებული საკვებდანამატები და არომატიზატორები სურსათში არ უნდა გადადიოდეს ისეთი რაოდენობით, რომ მზა პროდუქტისთვის ჰქონდეს ტექნიკური ეფექტი და ასევე:

ა) არ უნდა აღემატებოდეს საკვებდანამატებისა და არომატიზატორებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შეზღუდვებს ან ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ით განსაზღვრულ შეზღუდვებს, იმ სურსათში, სადაც მათი გამოყენება დაშვებულია როგორც საკვებდანამატი ან არომატიზატორი;

ბ) არ უნდა აღემატებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ით განსაზღვრულ შეზღუდვებს იმ სურსათში, სადაც მათი გამოყენება არ არის დაშვებული როგორც საკვებდანამატი ან არომატიზატორი.

3. თუ მითითებულია, რომ კონკრეტული ნივთიერების მიგრაცია არ არის დაშვებული, შესაბამისობა უნდა დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების მეთოდით, რომელიც, აღმოჩენის/გამოვლენის მითითებულ ზღვარზე, დაადასტურებს მიგრაციის არარსებობას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის, თუ არ არის დადგენილი განსაზღვრული ნივთიერების ან ნივთიერებათა ჯგუფების აღმოჩენის/გამოვლენის ზღვარი, გამოყენებული უნდა იქნეს აღმოჩენის/გამოვლენის ზღვარი 0,01 მგ/კგ.

მუხლი 10. სრული მიგრაციის ზღვარი

1. პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნებიდან) მათი შემადგენელი კომპონენტების სრული მიგრაცია სურსათის იმიტატორში არ უნდა აღემატებოდეს 10 მილიგრამს სურსათთან შეხებაში მყოფი ზედაპირის თითოეულ დმ²- ფართობზე (მგ/დმ²) .

2. პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნებიდან), რომლებიც შეხებაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ სურსათთან, მათი შემადგენელი კომპონენტების სრული მიგრაცია სურსათის იმიტატორში, სურსათის იმიტატორის თითოეულ კილოგრამზე არ უნდა აღემატებოდეს 60 მილიგრამს (60მგ/კგ) .

მუხლი 11. პლასტმასის მრავალშრიანი მასალები და ნაკეთობები (საგნები)

1. პლასტმასის მრავალშრიანი მასალების და ნაკეთობების (საგნები) თითოეული პლასტმასის შრე/ფენა უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. პლასტმასის შრე/ფენა, რომელიც უშუალო შეხებაში არ იმყოფება სურსათთან და მისგან გამოყოფილია ფუნქციური ბარიერით შესაძლებელია შეესაბამებოდეს ერთ-ერთ ან ორივე პირობას:

ა) არ აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №1-ით, განსაზღვრულ შეზღუდვებსა და სპეციფიკაციებს, გარდა ვინილქლორიდის მონომერისა;

ბ) დამზადებულ იქნეს ისეთი ნივთიერებების გამოყენებით, რომელიც არ არის განსაზღვრული დაშვებული ნივთიერებების ნუსხით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნივთიერებები არ უნდა გადადიოდეს/მიგრირებდეს სურსათში ან სურსათის იმიტატორში ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. გამოვლენის/აღმოჩენის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით, გამოიყენება ნივთიერებათა ჯგუფებისათვის, თუ ისინი სტრუქტურულად და ტოქსიკოლოგიურად არიან რელევანტურები, მათ შორის იზომერები ან ნივთიერებები, რომლებიც მიეკუთვნებიან ამავე ფუნქციურ ჯგუფს, ან ცალკეული ნივთიერებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულები და უნდა მოიცავდეს შესაძლო მიგრაციას.

4. ნივთიერებები, რომლებიც არ არის განსაზღვრული დაშვებული ნივთიერებების ნუსხით, არ უნდა ეკუთვნოდეს ნივთიერებათა შემდეგ კატეგორიებს:

ა) ნივთიერებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით კლასიფიცირებული და განსაზღვრულია როგორც „მუტაგენური“ ან „კარცინოგენური“, ან „რეპროდუქციისთვის ტოქსიკური“;

ბ) ნივთიერებები ნანოფორმაში.

5. დასრულებული პლასტმასის მრავალშრიანი მასალა ან ნაკეთობა (საგანი) უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლით განსაზღვრულ სპეციფიკური მიგრაციის ზღვართან და ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლით განსაზღვრულ სრული მიგრაციის ზღვართან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

მუხლი 12. მრავალშრიანი პოლიმასალების ნაკეთობები (საგნები) და მასალები

1. მრავალშრიანი პოლიმასალების ნაკეთობების (საგნები) და მასალების თითოეული შრე/ფენა უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. მრავალშრიანი პოლიმასალების ნაკეთობების (საგნები) და მასალების, რომელიც შედგება რამდენიმე მასალისგან, პლასტმასის შრე/ფენა, რომელიც უშუალო შეხებაში არ იმყოფება სურსათთან და მისგან გამოყოფილია ფუნქციური ბარიერით, შესაძლებელია დამზადებულ იქნეს იმ ნივთიერებების გამოყენებით, რომლებიც არ არის განსაზღვრული დაშვებული ნივთიერებების ნუსხით.

3. ნივთიერებები, რომლებიც ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად არ არის განსაზღვრული დაშვებული ნივთიერებების ნუსხით, არ უნდა ეკუთვნოდეს ნივთიერებათა შემდეგ კატეგორიებს:

ა) ნივთიერებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით კლასიფიცირებული და განსაზღვრულია როგორც „მუტაგენური“ ან „კარცინოგენური“, ან „რეპროდუქციისთვის ტოქსიკური“;

ბ) ნივთიერებები ნანოფორმაში.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება მრავალშრიანი პოლიმასალების და ნაკეთობების (საგნები) და მასალების პლასტმასის შრეებზე/ფენებზე.

5. მრავალშრიანი პოლიმასალების და ნაკეთობების (საგნები) და მასალების პლასტმასის შრეები/ფენები უნდა აკმაყოფილებდნენ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №1-ით განსაზღვრულ ვინილქლორიდის მონომერთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

6. მრავალშრიანი პოლიმასალების ნაკეთობებისა (საგნები) და მასალებისთვის, რომელიც შედგება რამდენიმე მასალისგან, შესაძლებელია პლასტმასის შრეებისა/ფენებისა და საბოლოო ნაკეთობებისა (საგნების) და მასალებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვროს სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი და სრული მიგრაციის ზღვარი.

მუხლი 13. შესაბამისობის დეკლარაცია და თანმხლები დოკუმენტაცია

1. რეალიზაციის სხვა ეტაპებზე, გარდა საცალო ვაჭრობის ეტაპისა, პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნებს), მათი დამზადების შუალედური პროდუქტების და ასევე ნივთიერებებისათვის, რომლებიც გამოიყენება ამ მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) დასამზადებლად, ხელმისაწვდომი უნდა იქნეს „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლით განსაზღვრული წერილობითი დეკლარაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წერილობითი დეკლარაცია გაიცემა ბიზნესოპერატორის მიერ და შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №4-ით – „შესაბამისობის დეკლარაცია“ განსაზღვრულ ინფორმაციას.

3. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა იძლეოდეს პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნებს), მათი დამზადების შუალედური პროდუქტების, ასევე ნივთიერებების, რომლებიც გამოიყენება ამ მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) დასამზადებლად, ადვილად იდენტიფიცირების საშუალებას. მისი განახლება ხდება შემადგენლობის ან წარმოების არსებითი ცვლილებებისას, რაც იწვევს მასალებისა და ნაკეთობებისგან (საგნებისგან) ქიმიური ნივთიერებების მიგრაციის ცვლილებებს ან როდესაც ხელმისაწვდომია ახალი სამეცნიერო მონაცემები.

4. შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მასალები და ნაკეთობები (საგნები), მათი დამზადების შუალედური პროდუქტები და ასევე ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ამ მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) დასამზადებლად, აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის მოთხოვნისთანავე.

5. დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გამოკვლევის/ტესტირების პირობებსა და შედეგებს, გამოთვლებს, მათ შორის მოდელირებას, სხვა ანალიზებს და უზენაესობის დადასტურებას ან არგუმენტებს, რითაც დადასტურებული იქნება შესაბამისი მოთხოვნების დაცვა. შესაბამისობის ექსპერიმენტული დადასტურების ნორმები განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14- მე-16 მუხლებით.

მუხლი 14. მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგების გამოსახვა

1. შესაბამისობის შესამოწმებლად, სპეციფიკური მიგრაციის მნიშვნელობები გამოსახული უნდა იქნეს მგ/კგ-ში, რაც მოიცავს ფაქტიური და მოსალოდნელი გამოყენებისას ზედაპირის და მოცულობის (ზედაპირი/მოცულობა) რეალურ თანაფარდობას.

2. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიგრაციის მნიშვნელობა გამოსახული უნდა იქნეს მგ/კგ-ში, ზედაპირისა და მოცულობის თანაფარდობის (ზედაპირი/მოცულობა) გამოყენებით 6 დმ² ყოველ ერთ კგ სურსათზე, კერძოდ:

ა) კონტეინერები და სხვა ნაკეთობები (საგნები), რომლებიც შეიცავს ან განკუთვნილია 500 მილილიტრზე ან გრამზე ნაკლები, ან 10 ლიტრზე მეტი შემცველობისათვის;

ბ) მასალები და ნაკეთობები (საგნები), რომელთათვისაც მათი ფორმის გამო შეუძლებელია შეფასდეს მასალებისა და ნაკეთობების (საგნები) ზედაპირის ფართობსა და მათთან შეხებაში მყოფ სურსათის რაოდენობას შორის კავშირი;

გ) ფურცლები და ფირფიტები (აპკი), რომლებიც ჯერ არ არის სურსათთან შეხებაში;

დ) ფურცლები და ფირფიტები (აპკი), რომლებიც შეიცავენ 500 მილილიტრზე ან გრამზე ნაკლებს ან 10 ლიტრზე მეტს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნები), რომლებიც განკუთვნილია ან უკვე შეხებაშია ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ სურსათთან. რომელზეც ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება თავსახურავებზე, საცობებზე, ხუფებზე, შუასადებზე და მსგავს დასახურ საშუალებებზე. მათთვის სპეციფიკური მიგრაციის მნიშვნელობა გამოსახული უნდა იქნეს:

ა) მგ/კგ-ში; ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს კონტეინერის ფაქტიური შემცველობა, რომლისთვისაც განკუთვნილია დასახური საშუალება, დასახური საშუალებისა და კონტეინერის შეხების საერთო ზედაპირი, თუ ცნობილია კონტეინერის გამოყენების დანიშნულება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) მგ/ნაკეთობაში (საგანში), თუ არ არის ცნობილი ნაკეთობის (საგანის) გამოყენების დანიშნულება.

5. თავსახურავების, საცობების, ხუფების, შუასადებების და მსგავს დასახურ საშუალებებზე სრული მიგრაციის მნიშვნელობა გამოსახული უნდა იქნეს:

ა) მგ/დმ², დასახური საშუალებისა და კონტეინერის შეხების საერთო ზედაპირის მიხედვით, თუ ცნობილია კონტეინერის გამოყენების დანიშნულება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) მგ/დასახურ საშუალებაში, თუ არ არის ცნობილი ნაკეთობის (საგანის) გამოყენების დანიშნულება.

მუხლი 15. მიგრაციის ზღვრების შესაბამისობის შემოწმება

1. მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნებისათვის), რომლებიც უკვე შეხებაშია სურსათთან, სპეციფიკური მიგრაციის ზღვარის შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს დანართ №5-ის, ნაწილი 1-ით „სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნებიდან), რომლებიც უკვე შეხებაში არიან სურსათთან“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნებისათვის), რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან, სპეციფიკური მიგრაციის ზღვარის შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს სურსათში ან სურსათის იმიტატორში დანართ №5-ის ნაწილი 2-ის – „სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან, რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან“, „ა“ ქვეპუნქტის – „შემოწმების მეთოდი“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნებისათვის), რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან, სპეციფიკური მიგრაციის ზღვარის ნორმასთან შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს დანართ №5-ის ნაწილი 2-ის „ბ“ ქვეპუნქტის – „სკრინინგის მიდგომები“-თ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. თუ მასალა ან ნაკეთობა (საგანი) შემოწმების ამ მიდგომებით არ შეესაბამება მიგრაციის ზღვარს, დასკვნა, შეუსაბამობასთან დაკავშირებით, უნდა დადასტურდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემოწმებით.

3. მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნებისათვის), რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან, სრული მიგრაციის ზღვარის შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს სურსათში ან ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №3-ით განსაზღვრულ სურსათის იმიტატორში, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5-ის ნაწილი 3-ით „სრული მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4. მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნებისათვის), რომლებიც ჯერ არ არის შეხებაში სურსათთან, სრული მიგრაციის ზღვარის ნორმასთან შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს დანართი №5-ის ნაწილი 3-ის „დ“ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. თუ თუკი მასალა ან ნაკეთობა/საგანი შემოწმების ამ მიდგომებით არ შეესაბამება მიგრაციის ზღვარს, დასკვნა, შეუსაბამობასთან დაკავშირებით, უნდა დადასტურდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემოწმებით.

5. უშუალოდ სურსათში სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგები უპირატესია სურსათის იმიტატორებში სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგებზე, ხოლო სურსათის იმიტატორებში სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგები უპირატესია სკრინინგის მეთოდებით მიღებულ შედეგებზე.

6. სპეციფიკური და სრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგების ზღვრულ მაჩვენებლებთან შედარებამდე, გამოყენებული უნდა იქნეს დანართი №3-ის მე-3 ნაწილის – „სურსათის იმიტატორების სპეციალური განსაზღვრა სხვადასხვა სურსათისათვის, იმ მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მიგრაციის გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის, რომლებიც ჯერ არ არიან სურსათთან შეხებაში“ და დანართ №5-ის ნაწილი 4 – „შესწორების კოეფიციენტები, რომლებიც გამოიყენება მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგებისა და მიგრაციის ზღვრების შედარებისას“.

მუხლი 16. ნივთიერების შემოწმება, რომელიც არ შედის სიაში

ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრულია „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლით და ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით და რომლებიც არ შედიან დანართ №1-ში, უნდა შეფასდეს საერთაშორისოდ აღიარებული რისკის შეფასების სამეცნიერო პრინციპების საფუძველზე.

დანართი №1

ნივთიერებები

ნაწილი 1. დაშვებული მონომერების, სხვა საწყისი ნივთიერებების, მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულების, დანამატების და პოლიმერების წარმოების დამხმარე საშუალებები

ცხრილი №1 – „პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) წარმოებისათვის დაშვებული ნივთიერებები“ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

სვეტი (1) (FCM substance No) – ნივთიერების უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი;

სვეტი (2) (Ref. No) – EEC შესაფუთი მასალის ნომერი;

სვეტი (3) (CAS No) – Chemical Abstracts Service (CAS) -ში რეგისტრაციის ნომერი;

სვეტი (4) (ნივთიერების დასახელება) – ქიმიური დასახელება;

სვეტი (5) პოლიმერების წარმოებაში დანამატის (PPA) ან დამხმარე საშუალებად გამოყენება (დიახ/არა)] – მითითება, თუ ნივთიერება, პოლიმერის წარმოებაში დაშვებულია როგორც დანამატი ან დამხმარე საშუალება – (დიახ), თუ ნივთიერება არ არის დაშვებული პოლიმერის წარმოების როგორც დანამატი ან დამხმარე საშუალება – (არა), თუ ნივთიერება დაშვებულია მხოლოდ პოლიმერის (PPA) სახით – (დიახ) და მის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვა მოცემულია სპეციფიკაციებში;

სვეტი (6) როგორც მონომერის ან სხვა საწყისი ნივთიერების ან მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულის გამოყენება (დიახ/არა)] – მითითება, თუ ნივთიერება დაშვებულია, რათა გამოყენებულ იქნეს როგორც მონომერი ან სხვა საწყისი ნივთიერება, ან მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულა – (დიახ); თუ ნივთიერება არ არის დაშვებული, რათა გამოყენებულ იქნეს როგორც მონომერი ან სხვა საწყისი ნივთიერება, ან მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულა – (არა); თუ ნივთიერება დაშვებულია როგორც მიკრობული ფერმენტაციის გზით მიღებული მაკრომოლეკულა (დიახ) და სპეციფიკაციებში მითითებულია, რომ ნივთიერება წარმოადგენს მიკრობული ფერმენტაციით მიღებული მაკრომოლეკულას;

სვეტი (7) FRF – ცხიმის მოხმარების შემცირების ფაქტორის გამოყენება (დიახ/არა)] – მითითება, შესაძლებელია თუ არა ნივთიერების მიგრაციის შედეგების კორექტირება ცხიმის მოხმარების შემცირების ფაქტორით/კოეფიციენტით (FRF) – (დიახ), ან თუ მათი კორექტირება შეუძლებელია FRF-ით – (არა);

სვეტი (8) [SML] – სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი მგ/კგ, რომელიც გამოიყენება ნივთიერებისათვის, გამოიხატება მგ-ში ყოველი კგ სურსათისათვის. ის აღინიშნება როგორც – ND (არ აღმოჩნდა), თუ ნივთიერებისათვის მიგრაცია არ არის დაშვებული, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად;

სვეტი (9) [SML (T)] (ჯგუფური შეზღუდვების N მგ/კგ)] – შეიცავს იმ ნივთიერებათა ჯგუფის საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელთათვისაც ჯგუფური შეზღუდვები ვრცელდება ამ დანართის ცხრილი N2-ის „ნივთიერებების ჯგუფური შეზღუდვა“ პირველ სვეტში;

სვეტი (10) (შეზღუდვები და სპეციფიკაციები) – სპეციფიკური მიგრაციის ზღვრის გარდა შეიცავს სხვა შეზღუდვებს და ნივთიერებებთან დაკავშირებულ მახასიათებლებს. დეტალური მახასიათებლები განთავსებულია ცხრილ №4-ში – „ნივთიერებების დეტალური სპეციფიკაციები“;

სვეტი (11) შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ“) – შეიცავს შენიშვნის ნომერს, რომელიც მიუთითებს შემოწმების შესაბამისობასთან დაკავშირებულ წესებზე იმ ნივთიერებებისათვის,

რომლებიც განსაზღვრულია ამ დანართის ცხრილი №3-ის „შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ“ პირველ სვეტში;

თუ ნივთიერება, რომელიც შედის სიაში როგორც ცალკეული ნაერთი, ასევე დაფარულია ზოგადი ტერმინით, ამ ნივთიერების მიმართ გამოყენებული შეზღუდვები უნდა იყოს იგივე, რაც მითითებულია ცალკეული ნაერთისათვის.

ცხრილი №1

პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) წარმოებისათვის დაშვებული ნივთიერებები

ნივთიერების საიდენტიფიკაციო ნომერი – FCM	შესაფუთი მასალის რეგულაციური ნომერი	Chemical Abstracts Service (CAS) – ის რეგისტრაციის ნომერი	ნივთიერების ქიმიური დასახელება (1)	პოლიმერების წარმოებაში გამოყენება დანამტის ან დამხმარე ნივთიერების სახით – (დიახ/არა) (2)	მიკობრუნული ფერმენტაციით მიღებული მონომერის ან სხვა ნედლეულის ან მაკრომოლეკულების სახით გამოყენება – (დიახ/არა) (3)	FRF -შესწორების კოეფიციენტის გამოყენება (დიახ/არა)	სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი – SML [მგ/კგ]	SML (T) [მგ/კგ] ჯგუფის შეზღუდვები	შეზღუდვები და სპეციფიკაციები	შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ
(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)	(9)	(10)	(11)
1	12310	0266309-43-7	ალბუმინი	არა	დიახ	არა				
2	12340	—	ალბუმინი, კოაგულოზირებული ფორმალდეჰიდით	არა	დიახ	არა				
3	12375	—	წრფივი ალიფატური ნაჯერი პირველადი მონოსპირტები (C ₄ -C ₂₂)	არა	დიახ	არა				

4	22332	—	ნარევი (40% w/w) 2,2,4-ტრიმეთილჰექსანი-1,6-დიიზოციანატი და (60% w/w) 2,4,4-ტრიმეთილჰექსანი-1,6-დიიზოციანატის	არა	დიახ	არა		(17)	1 მგ/კგ საბოლოო პროდუქტში, გამოსახული იზოციანატის შემცველობით	(10)
5	25360	—	ტრიალკილ (C ₅ -C ₁₅) აცეტატ (მმარმჟავა) 2,3-ეპოქსიპროპილის ეთერი	არა	დიახ	არა	ND		1 მგ/კგ საბოლოო პროდუქტში, გამოსახული ეპოქსიდური ფისების ჯგუფით. მოლეკულური წონა – 43 Da.	
6	25380	—	ტრიალკილმმარმჟავა (C ₇ -C ₁₇), ვინილის ეთერები	არა	დიახ	არა	0,05		(1)	
7	30370	—	აცეტომმარმჟავა, მარილები	დიახ	არა	არა				
8	30401	—	ცხიმოვანი მჟავების აცეტილირებული მონო- და დიგლიცერიდები	დიახ	არა	არა		(32)		
9	30610	—	ბუნებრივი (ნატურალური) ცხიმების და ზეთების C ₂ -C ₂₄ წრფივი, ალიფატური, მონოკარბონის მჟავები, ასევე მათი მონო-, დი- და ტრიგლიცერიდების ეთერები (მათ შორის განშტოებული ცხიმოვანი მჟავები, ბუნებრივი ოდენობით არსებული)	დიახ	არა	არა				
10	30612	—	C ₂ -C ₂₄ , ალიფატური, სინთეზური, წრფივი, მონოკარბოქსილის მჟავები, და მათი მონო-დი- და ტრიგლიცერინის ეთერები	დიახ	არა	არა				
11	30960	—	მონიკარბოქსილის ეთერების მჟავები, (C ₆ -C ₂₂),	დიახ	არა	არა				

			ალიფატური, პოლიგლიცერინით							
12	31328	—	ცხიმოვანი მჟავები, მიღებული ცხოველური ან მცენარეული ცხიმებიდან ან ზეთებიდან	დიახ	არა	არა				
13	33120	—	ერთატომიანი, ალიფატური, ნაჯერი, წრფივი, პირველადი (C4- C24) სპირტები,	დიახ	არა	არა				
14	33801	—	n-ალკილ (C10 – C13) ბენზოსულფონის მჟავა	დიახ	არა	არა	30			
15	34130	—	ალკილი, წრფივი, ნახშირბადის წყვილი ატომებით (C12-C20) დიმეთილამინები	დიახ	არა	დიახ	30			
16	34230	—	ალკილ (C8-C22) სულფონის მჟავა	დიახ	არა	არა	6			
17	34281	—	ალკილ (C8-C22) გოგირდის მჟავები, წრფივი, პირველადი, ნახშირბადის წყვილი ატომებით	დიახ	არა	არა				
18	34475	—	ალუმინის ფუძე ფოსფატი და კალციუმის ჰიდროქსანი	დიახ	არა	არა				
19	39090	—	N,N-ბის (2- ჰიდროქსიეთილ) ალკილ (C8-C18) ამინი	დიახ	არა	არა		(7)		
20	39120	—	N,N-ბის (2- ჰიდროქსიეთილ) ალკილ (C8-C18) ამინის ჰიდროქლორიდი	დიახ	არა	არა		(7)	SML (T), გამოსახული HCl- ის გარეშე.	
21	42500	—	ნახშირმჟავა, მარილები	დიახ	არა	არა				

22	43200	—	აბუსალათინის ზეთი, მონო- და დიგლიცერიდები	დიახ	არა	არა				
23	43515	—	ქოქოსის ზეთის ცხიმოვანი მჟავების ქოლინის ეთერების ქლორიდები	დიახ	არა	არა	0,9			(1)
24	45280	—	ბამბის ბოჭკოები	დიახ	არა	არა				
25	45440	—	კრეზოლი, ბუტილირებული, სტირენირებული	დიახ	არა	არა	12			
26	46700	—	5,7-დი-ტერტ-ბუთილ-3-(3,4- და 2,3-დიმეთილფენილ) -3H-ბენზოფურანი- 2-ერთხანაცვლებული: ა) 5,7-დი-ტერტ- ბუთილ-3-(3,4-დიმეთილფენილ) -3H-ბენზოფურანი-2-ერთი (80 დან 100% w/ w) და ბ) 5,7-დი-ტერტ-ბუთილ-3-(2,3- დიმეთილფენილ) -3H-ბენზოფურანი-2-ერთი (0 დან 20% w/w)	დიახ	არა	არა	5			
27	48960	—	9,10-დიჰიდროქსი სტეარინის მჟავა და მისი ოლიგომერები	დიახ	არა	არა	5			
28	50160	—	დი-ნ-ოქტილინ ბის (n-ალკილ (C ₁₀ -C ₁₆) მერკაპტოაცეტატი)	დიახ	არა	არა		(10)		
29	50360	—	დი-ნ-ოქტილკალა ბის (ეთილის მალატი)	დიახ	არა	არა		(10)		

30	50560	—	დი-ი-ოქტილკალა 1,4- ბუთანედიოლ ბის (მერკაპტოაცეტატი)	დიახ	არა	არა		(10)		
31	50800	—	დი-ი-ოქტილინდიმალატი, ეტერიფიცირებული	დიახ	არა	არა		(10)		
32	50880	—	დი-ი- ოქტილკალადიმალატი, პოლიმერები (n = 2-4)	დიახ	არა	არა		(10)		
33	51120	—	დი-ი-ოქტილინთიობენზ- ოატი 2- ეთილჰექსილ მერკაპტოაცეტატი	დიახ	არა	არა		(10)		
34	54270	—	ეთილჰიდროქსიმე- თილცელულოზა	დიახ	არა	არა				
35	54280	—	ეთილჰიდროქსიპროპილცე- ლულოზა	დიახ	არა	არა				
36	54450	—	ცხიმები და ზეთები, ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის	დიახ	არა	არა				
37	54480	—	ცხიმები და ზეთები, ჰიდროგენიზებული, ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის	დიახ	არა	არა				
38	55520	—	ბოჰკოვანი მინა (მინაბოჰკო)	დიახ	არა	არა				
39	55600	—	მინის მიკრო ბურთულეები	დიახ	არა	არა				
40	56360	—	გლიცერინის ეთერები მმარმჟავით	დიახ	არა	არა				
41	56486	—	გლიცერინი, მჟავების რთული ეთერები, ალიფატური, ნაჯერი, წრფივი, ნახშირბადის	დიახ	არა	არა				

			წყვილი ატომებით (C ₁₄ -C ₁₈) და მჟავები, ალიფატური, უჯეტი, წრფივი, ნახშირბადის წყვილი ატომებით (C ₁₆ -C ₁₈)							
42	56487	—	გლიცერინის ეთერები ერბომჟავათი	დიახ	არა	არა				
43	56490	—	გლიცერინის ეთერები ერუკის მჟავით	დიახ	არა	არა				
44	56495	—	გლიცერინის ეთერები 12- ჰიდროქსისტეარინის მჟავით	დიახ	არა	არა				
45	56500	—	გლიცერინის ეთერები ერუკის მჟავით	დიახ	არა	არა				
46	56510	—	გლიცერინის ეთერები ლინოლეინის მჟავით	დიახ	არა	არა				
47	56520	—	გლიცერინის ეთერები მირისტინის მჟავით	დიახ	არა	არა				
48	56535	—	გლიცერინის ეთერები ნონანის მჟავით	დიახ	არა	არა				
49	56540	—	გლიცერინის ეთერები ოლეინის მჟავით	დიახ	არა	არა				
50	56550	—	გლიცერინის ეთერები პალმიტინის მჟავით	დიახ	არა	არა				
51	56570	—	გლიცერინის ეთერები პროპიონმჟავით	დიახ	არა	არა				
52	56580	—	გლიცერინის ეთერები რიცინოლის მჟავით	დიახ	არა	არა				
53	56585	—	გლიცერინის ეთერები სტეარინის მჟავით	დიახ	არა	არა				
54	57040	—	გლიცერინის მონოოლეატი, ეთერი ასკორბინის მჟავით	დიახ	არა	არა				

55	57120	—	გლიცერინის მონოოლეატი, ეთერი ლიმონმჟავით	დიახ	არა	არა				
56	57200	—	გლიცერინის მონოპალმიტატი, ეთერი ასკორბინის მჟავით	დიახ	არა	არა				
57	57280	—	გლიცერინის მონოპალმიტატი, ეთერი ლიმონმჟავით	დიახ	არა	არა				
58	57600	—	გლიცერინის მონოსტეარატი, ეთერი ასკორბინის მჟავით	დიახ	არა	არა				
59	57680	—	გლიცერინის მონოსტეარატი, ეთერი ლიმონმჟავით	დიახ	არა	არა				
60	58300	—	გლიცინი, მარილები	დიახ	არა	არა				
62	64500	—	ლიზინი, მარილები	დიახ	არა	არა				
63	65440	—	მანგანუმის პიროფოსფიტი	დიახ	არა	არა				
64	66695	—	მეთილჰიდროქსიმეთილცელულოზა	დიახ	არა	არა				
65	67155	—	4- (2-ბენზოქსაზ) -4'- (5-მეთილ-2-ბენზოქსაზოლილ) სტილბენის, 4,4'-ბის (2-ბენზოქსაზოლილ) სტილბენის და 4,4'-ბის (5-მეთილ-2-) ბენზოქსაზოლილ) სტილბენის ნარევი	დიახ	არა	არა				არაუმეტეს 0,05% (w/w) (გამოყენებული ნივთიერების რაოდენობა/შემადგენლობის რაოდენობა) . წარმოების პროცესით მიღებული ნარევი ტიპიური თანაფარდობით (58-62%): (23-27%): (13-17%) .

66	67600	—	მონო- <i>n</i> -ოქტილკალა ტრის (ალკილ (C ₁₀ -C ₁₆) მერკაპტოაცეტატი)	დიახ	არა	არა		(11)	-	
67	67840	—	მონტანის მჟავები და / ან მათი ეთერები ეთილენგლიკოლით და / ან 1,3-ბუთანდიოლით და / ან გლიცერინით	დიახ	არა	არა			-	
68	73160	—	ფოსფორმჟავას, მონო- და დი- <i>n</i> - ალკილის (C ₁₆ და C ₁₈) ეთერები	დიახ	არა	დიახ	0,05		-	
69	74400	—	ფოსფორის მჟავა, ტრის (ნონილ და / ან დიონილფენილ) ეთერი	დიახ	არა	დიახ	30		-	
70	76463	—	პოლიაკრილის მჟავა, მარილები	დიახ	არა	არა		(22)	-	
71	76730	—	γ-ჰიდროქსი პროპილირებული პოლიდიმეთილსილოქსანი	დიახ	არა	არა	6		-	
72	76815	—	ადიპური მჟავის პოლიეთერი გლიცერინით ან პენტაერიტრით, წრფივი, ნახშირბადის წყვილი ატომების მქონე (C ₁₂ -C ₂₂) ცხიმოვანი მჟავების ეთერები	დიახ	არა	არა		(32)	ფრაქცია, რომლის მოლეკულური წონა 1 000 Da – ზე ნაკლებია, არ უნდა აღმატებოდეს 5% -ს (w/w) .	
73	76866	—	1,2-პროპანდიოლის და / ან 1,3- და / ან 1,4- ბუთანდიოლის და / ან პოლიპროპილენგლიკოლის პოლიეთერები ადიპური მჟავით, რომლებიც შეიძლება დასრულდეს	დიახ	არა	დიახ		(31) (32)	-	

			მმარმეჯავით ან ცხიმოვანი მჟავებით C ₁₂ -C ₁₈ ან n-ოქტანოლით და / ან n-დეკანოლით							
74	77440	—	პოლიეთილენგლიკოლის დირიცინოლეატი	დიახ	არა	დიახ	42		-	
75	77702	—	პოლიეთილენგლიკოლი, მონოკარბული მჟავების (C ₆ -C ₂₂) და მათი ამონიუმის და ნატრიუმის სულფატების რთული ეთერები	დიახ	არა	არა			-	
76	77732	—	პოლიეთილენგლიკოლის (EO = 1-30, როგორც წესი – 5) ბუთილ – 2-ციანო 3- (4-ჰიდროქსი-3-მეთოქსიფენილ) აკრილატის ეთერი	დიახ	არა	არა	0,05		მხოლოდ PET- ში გამოსაყენებლად.	
77	77733	—	პოლიეთილენგლიკოლის (EO = 1-30, როგორც წესი – 5) ბუთილ-2- ციანო-3- (4-ჰიდროქსიფენილ) აკრილატის ეთერი	დიახ	არა	არა	0,05		მხოლოდ PET- ში გამოსაყენებლად.	
78	77897	—	პოლიეთილენგლიკოლის (EO = 1-50) მონოალკილეტერის (წრფივი და განტოტვილი, C ₈ -C ₂₀) სულფატი, მარილები	დიახ	არა	არა	5		-	
79	80640	—	პოლიოქსიალკილ (C ₂ -C ₄) დიმეთილ პოლისილოქსანი	დიახ	არა	არა			-	
80	81760	—	თითბერის, ბრინჯაოს, სპილენძის, უჯანგავი ფოლადის ფხვნილები,	დიახ	არა	არა			-	

			ფანტელები და ბოჭკოები და სპილენძის, კალის და რკინის შენადნობები							
81	83320	—	პროპილჰიდროქსიეთილცელულოზა	დიახ	არა	არა			-	
82	83325	—	პროპილჰიდროქსიმეთილცელულოზა	დიახ	არა	არა			-	
83	83330	—	პროპილჰიდროქსიპროპილცელულოზა	დიახ	არა	არა			-	
84	85601	—	სილიკატები, ბუნებრივი (გარდა აზბესტისა)	დიახ	არა	არა			-	
85	85610	—	სილიკატები, ბუნებრივი, სილანით გაჟღენთილი (აზბესტის გარდა)	დიახ	არა	არა			-	
86	86000	—	სილიციუმის მჟავა, სილილირებული	დიახ	არა	არა			-	
87	86285	—	სილიციუმის დიოქსიდი, სილანით გაჟღენთილი	დიახ	არა	არა			სილინირებული, სინთეზური ამორფული სილიციუმის დიოქსიდისთვის, პირველადი ნაწილაკები ზომით: 1–100 ნმ რომლებიც გაერთიანებულია (აგრერირებულია) 0,1–1 მკმ ზომამდე და გრანულომეტრული შემადგენლობის საზღვრებში შეიძლება შექმნან 0,3 μm მმ ზომამდე აგლომერატები.	
88	86880	—	ნატრიუმის მონოალკილდიალკილფენოქსიბენზენდისულფონატი	დიახ	არა	არა	9		-	

89	89440	—	სტერინის მჟავის ეთერები ეთილენგლიკოლით	დიახ	არა	არა		(2)	-	
90	92195	—	ტაურინი, მარილები	დიახ	არა	არა			-	
91	92320	—	ტეტრადეცილ- პოლიეთილენგლიკოლი (EO = 3-8) გლიკოლის მჟავის ეთერი	დიახ	არა	არა	15		-	
92	93970	—	ტრიციკლოდეკანდიმეთანო ლი ბის (ჰექსჰიდროფტალატი)	დიახ	არა	არა	0,05		-	
93	95858	—	ცვილები, პარაფინები, რაფინირებული, ნავთობის ან დაბალი სიბლანტეს მქონე სინთეზური ნახშირწყალბადების ნედლეულიდან მიღებული	დიახ	არა	არა	0,05		არ გამოიყენება ცხიმთან სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ ნაკეთობებში, რომლისთვისაც იმიტატორი D1 და/ან D2 არის დადგენილი. საშუალო მოლეკულური წონა არანაკლებ 350 Da. სიბლანტე 100°C ტემპერატურაზე არანაკლებ 2,5 cSt ($2,5 \times 10^{-6} \text{ მ}^2/\text{წმ}$) . ნახშირწყალბადების შემცველობა 25-ზე ნაკლები, ნახშირბადის ატომით, არაუმეტეს 40% w/w.	
94	95859	—	ცვილები, რაფინირებული ნავთობის ან მაღალი სიბლანტის სინთეზური ნახშირწყალბადების ნედლეულიდან მიღებული	დიახ	არა	არა			საშუალო მოლეკულური წონა არანაკლებ 500 Da. სიბლანტე 100°C ტემპერატურაზე არანაკლებ 11 cSt ($11 \times 10^{-6} \text{ მ}^2/\text{წმ}$) .	

									მინერალური ნახშირწყალბადების შემცველობა ნახშირბადის 25-ზე ნაკლები ატომით, არაუმეტეს 5% w/w.	
95	95883	—	თეთრი მინერალური ზეთები, პარაფინირებული, მიღებული ნავთობის ნახშირწყალბადების ნედლეულიდან	დიახ	არა	არა			საშუალო მოლეკულური წონა არანაკლებ 480 Da. სიბლანტე 100°C ტემპერატურაზე არანაკლებ 8,5 cSt ($8,5 \times 10^{-6} \text{ მ}^2/\text{წმ}$) . მინერალური ნახშირწყალბადების შემცველობა ნახშირბადის 25-ზე ნაკლები ატომით, არაუმეტეს 5% w/w.	
96	95920	—	მერქნის ფქვილი (ნახერხი) და ბოჭკოები, დაუმუშავებელი	დიახ	არა	არა				
97	72081/10	—	ნავთობის ნახშირწყალბადების ფისები (ჰიდროგენიზებული)	დიახ	არა	არა			ნავთობის ჰიდროგენიზირებული ნახშირწყალბადოვანი ფისები წარმოიქმნება დიენებისა და ალიფატური ოლეფინების კატალიზით ან თერმოპოლიმერიზაციით, აციკლური და/ან მონობენ ზენოიდარილალკენის ტიპებით, კრენინგ ნავთობის ზეთების დისტილატებიდან, დუდილის ტემპერატურით არაუმეტეს 220°C, და სუფთა ნახშირწყალბადები,	

									<p>დისტილაციის ამ ნაკადებში არსებული მონომერები, შემდგომი დამატებით დისტილაციით და ჰიდროგენიზაციით დამუშავებით. თვისებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - სიბლანტე 120°C-ტემპერატურაზე: > 3 Pa.s, - დარბილების წერტილი: > 95°C როგორც განსაზღვრულია ASTM მეთოდით E 28-67, - ბრომის ინდექსი: <40 (ASTM D1159), - ხსნარის ფერი 50%-იან ტოლუოლში <11 გარდნერის შკალით, - ნარჩენი არომატული მონომერები ≤ 50 ppm. 	
98	17260	000050-00-0	ფორმალდეჰიდი	დიახ	დიახ	არა		(15)		
	54880									
99	19460	000050-21-5	რემეჟავა	დიახ	დიახ	არა				
	62960									
100	24490	000050-70-4	სორბიტოლი	დიახ	დიახ	არა				
	88320									
101	36000	000050-81-7	ასკორბინის მჟავა	დიახ	არა	არა				
102	17530	000050-99-7	გლუკოზა	არა	დიახ	არა				
103	18100	000056-81-5	გლიცერინი	დიახ	დიახ	არა				

	55920									
									ის შეზღუდვა ვრცელდება ამ ნივთიერებების ჯამზე. ნაწილაკების დიამეტრი უნდა იყოს > 20 ნმ და საერთო რაოდენობის მიხედვით სულ მცირე 95% უნდა იყოს > 40 ნმ.	
1007		976-56-7	დიეთილ[[3,5-ზის (1,1-დიმეთილეთილის) -4-ჰიდროქსი ფენილ]მეთილ]ფოსფონატი	არა	დიახ	არა			გამოიყენება მხოლოდ 0,2% w/w-მდე, პოლიმერის საბოლოო წონის მიხედვით პოლიმერიზაციის პროცესში პოლი (ეთილენტერეფ თალატის) (PET) წარმოებისთვის.	
1016			(მეთაკრილის მჟავა, ეთილის აკრილატი, n-ბუთილაკრილატი, მეთილის მეთაკრილატი და ბუთადიენი) კოპოლიმერი ნანოფორმაში	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ: (ა) 10% w/w_მდე არაპლასტიფიცირებულ PVC-ში; (ბ) 15% w/w_მდე არაპლასტიფიცირებულ PLA-ში. საბოლოო მასალა უნდა იქნეს გამოყენებული ოთახის ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე.	
1017		25618-55-7	პოლიგლიცერინი	დიახ	არა	არა			დამუშავდეს მხოლოდ ნივთიერების დაშლის თავიდან აცილების პირობებში და 275°C მაქსიმალურ ტემპერატურამდე.	

1030			მონტმორილონიტის თიხა მოდიფიცირებული დიმეთილ დიალკილ (C ₁₆ -C ₁₈) ამონიუმის ქლორიდით	დიახ	არა	არა			<p>გამოიყენება მხოლოდ 12% w/w-მდე</p> <p>პოლიოლეფინებში მშრალ საკვებთან შეხებისათვის, რომლებსაც იმიტატორი E მინიჭებული ჩანაცვლდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის ცხრილ N7 ცხრილში, ოთახის ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე.</p> <p>სურსათში 1-ქლოროჰექსადადანის და 1-ქლოროოქტადეკანის სპეციფიკური მიგრაციის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 0,05 მგ/კგ-ს და</p> <p>შეიძლება შეიცავდეს ფირფიტებს ნანოფორმაში, რომლებიც ერთ განზომილებაში 100ნმ-ზე უფრო თხელია. ასეთი ფირფიტები ორიენტირებული უნდა იყოს ზედაპირული პოლიმერის პარალელურად და სრულად უნდა იყოს პოლიმერში ჩაშენებული.</p>	
1031		3238-40-2	ფურან-2,5-დიკარბოქსილის მჟავა	არა	დიახ	არა	5		გამოიყენება მხოლოდ მონომერის სახით	(22) (23)

									პოლიეთილენფურანოტის წარმოებაში. 1000 ჰა ოლიგომერული ფრაქციის მიგრაცია სურსათში არ უნდა აღემატებოდეს 50 მკგ/კგ-ში, (გამოიხატება ფურან-2,5-დიკარბოქსილის მჟავის სახით) .	
1034		3710-30-3	1,7-ოქტადიენი	არა	დიახ	არა	0,05		გამოიყენება მხოლოდ როგორც ჯვარედინი co-მონომერი პოლიოლეფინების წარმოებაში ნებისმიერი ტიპის სურსათთან შეხებისათვის, ოთახის ტემპერატურაზე გრძელვადიანი შენახვისთვის, ცხელი შევსების პირობებში შეფუთვის ჩათვლით.	
1043			(ბუთადიენი, ეთილაკრილატი, მეთილის მეთაკრილატი, სტიროლი) კოპოლიმერი ჯვარედინი 1,3-ბუთანდიოლის დიმეთაკრილატით, ნანოფორმაში	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ ნაწილაკებად არაპლასტიფიცირებულ PVC-ში 10% w/w-მდე ყველა ტიპის სურსათთან შეხებისათვის, ოთახის ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ხანგრძლივი შენახვის ჩათვლით. FCM No 859-თან და/ან FCM No 998-თან	

									ნივთიერებებთან ერთად გამოყენებისას, 10% w/w-ის შეზღუდვა ვრცელდება ამ ნივთიერებების ჯამზე. ნაწილაკების დიამეტრი უნდა იყოს > 20 ნმ და საერთო რაოდენობის სულ მცირე 95% უნდა იყოს > 40 ნმ.	
1045		1190931-27-1	პერფტორ{მმარმჟავა, 2-[5-მეთოქსი-1,3-დიოქსოლან-4-ილ) ოქსი]], ამონიუმის მარილი	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ როგორც პოლიმერის წარმოების დამხმარე საშუალება ფტორპოლიმერების წარმოებისას მაღალი ტემპერატურის პირობებში არანაკლებ 370°C.	
1046			თუთიის ოქსიდი, ნანონაწილაკები, დაფარული [3-(მეთაკრილოქსი) პროპილ] ტრიმეთოქსიზილანით (FCM No 788)	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ არაპლასტიფიცირებულ პოლიმერებში. დაცული უნდა იქნეს FCM No788 ნივთიერებისთვის განსაზღვრული შეზღუდვები და სპეციფიკაციები.	
1048		624-03-3	ეთილენგლიკოლის დიპალმიტატი	დიახ	არა	არა		(2)	გამოიყენება მხოლოდ ცხიმოვანი მჟავების წინამორბედისგან, რომელიც მიიღება საკვები ცხიმებიდან ან ზეთებიდან.	
1050			თუთიის ოქსიდი, ნანონაწილაკები,	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ არაპლასტიფიცირებულ	

			დაუფარავი						პოლიმერებში.	
1051		42774-15-2	N,N'-bis (2,2,6,6-ტეტრამეთილ-4-პიპერიდინილ) იზოფთალამიდი	დიახ	არა	არა	5			
1052		1455-42-1	2,4,8,10-ტრიოქსასპირო[5,5]უნდეკან-3,9-დიეთანოლი, β3, β3, β9, β9- ტეტრამეთილ- ('SPG')	არა	დიახ	არა	5		გამოიყენება მხოლოდ მონომერად პოლიეთერების წარმოებაში. 1000 Da-ზე ნაკლები ოლიგომერების მიგრაცია სურსათში არ უნდა აღემატებოდეს 50 მკგ/კგ-ს (გამოსახული როგორც SPG) .	(22) (23)
1053			ცხიმოვანი მჟავები, C ₁₆₋₁₈ ნაჯერი, ეთერები დიპენტაერიტრიტოლით	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოებულია ცხიმოვანი მჟავების წინამორბედისგან, რომელიც მიიღება საკვები ცხიმებიდან ან ზეთებიდან.	
1055		7695-91-2 58-95-7	α-ტოკოფეროლის აცეტატი	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ როგორც ანტიოქსიდანტი პოლიოლეფინებში.	(24)
1059		147398-31-0	პოლი ((R)-3-ჰიდროქსიბუტირატ-კო-(R)-3-ჰიდროქსიპექსანოატი)	არა	დიახ	არა		(35)	გამოიყენება მხოლოდ ცალკე ან სხვა პოლიმერებთან ნარევიში, ყველა ტიპის სურსათთან შეხებისათვის, თუ შეხების (კონტაქტის) ხანგრძლივობა 6 თვემდეა ან 6 თვე ან	(23)

									მეტია ოთახის ტემპერატურაზე ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე, მათ შორის ცხელი შევსების ან გაცხელების ხანმოკლე ფაზის შემთხვევაში. ყველა სურსათში ოლიგომერის მიგრაცია, რომლის მოლეკულური წონა 1 000 Da-ზე ნაკლებია არ უნდა აღემატებოდეს 5,0 მგ/კგ-ს.
1060			მზესუმზირის თესლი დაფქული	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ ოთახის, ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე სურსათთან შეხებისთვის, რომელთათვის ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის N7 ცხრილში მოცემულია სურსათის იმიტატორი E. გარსი მიიღებული უნდა იქნეს მზესუმზირისგან, რომელიც ვარგისია ადამიანის მოხმარებისთვის. დანამატის შემცველი პლასტმასის დამუშავების ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 240°C-ს.
1061		80512-44-3	2,4,4'-ტრიფტორბენზოფენონი	არა	დიახ	არა			გამოიყენება მხოლოდ როგორც co-მონომერი პოლიეთერ-ეთერ-კეტონის პლასტმასის წარმოებაში,

									საბოლოო 0,3% w/w.	
1062			ნარევი, რომელიც შედგება 97% ტეტრაეთილის ორთოსილიკატისაგან (TEOS) CAS No 78-10-4-ით და 3% ჰექსამეტილდისილაზანით (HMDS) CAS No 999-97-3-ით	არა	დიახ	არა			გამოიყენება მხოლოდ რეციკლირებული (ხელმეორედ გადამუშავებული) PET-ის წარმოებისთვის 0,12% w/w-მდე.	
1063		1547-26-8	2,3,3,4,4,5,5-ჰექტაფტორ-1-ჰენტენი	არა	დიახ	არა			გამოიყენება მხოლოდ ტეტრაფტორეთილენთან და/ან ეთილენის თანამონომერებთან ერთად ფტორკოპოლიმერების წარმოებისათვის, რომელიც გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება პოლიმერის დამუშავებისათვის, სურსათთან შეხებისათვის 0,2% w/w, 0,2% წ/წ. და მისი დაბალმოლეკულური მასური წილი 1500 Da ფტორკოლიმერში არ აღემატება 30მგ.კგ-ს.	
1064		39318-18-8	ვოლფრამის ოქსიდი	დიახ	არა	არა	0,05		სტოქიომეტრია WOn, n = 2,72-2,90.	(25)
1065		85711-28-0	მეთილის განშტოებული და წრფივი C ₁₄ -C ₁₈ ალკანამიდების ნარევი, მიღებული ცხიმოვანი მჟავებისგან	დიახ	არა	არა	5		გამოიყენება მხოლოდ პოლიოლეფინებისგან დამზადებული ნაკეთობების წარმოებაში და რომლებიც არ არის შეხებაში იმ სურსათთან,	(26)

									რომლისთვისაც სურსათის იმიტატორი D2 მოცემულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის N7ცხრილში.	
1066		23985-75-3	1,2,3,4-ტეტრაჰიდრონაფთალენ-2,6-დიკარბოქსილის მჟავა, დიმეთილის ეთერი	არა	დიახ	არა	0,05		გამოიყენება მხოლოდ როგორც co-მონომერი, პლასტმასის მრავალშრიან მასალაში, პოლიეთერის სურსათთან შეხებაში არ მყოფი ფენის წარმოებაში, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სურსათთან შეხებისათვის, რომლისთვისაც, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის N7 ცხრილში განსაზღვრულია იმიტატორები A, B, C და/ან D1. მე-8 სვეტის სპეციფიკური მიგრაციის ლიმიტი ეხება ნივთიერებისა და მისი დიმერების ჯამს (ციკლური და ლია ჯაჭვი) .	
1067		616-38-6	დიმეთილკარბონატი	არა	დიახ	არა			გამოიყენება მხოლოდ: ა) 1,6-ჰექსანდიოლთან ერთად პოლიკარბონატის პრეპოლიმერების წარმოებაში, რომლებიც გამოიყენება 30%-მდე თერმოპლასტიკური პოლიურეთანის დასამზადებლად 4,4'-	(27)

									<p>მეთილენდიფენილდიზოციანატიტ და დიოლებით, როგორცაა პოლიპროპილენგლიკოლი და 1,4-ბუტანდიოლი. მიღებული მასალა უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ განმეორებითი გამოყენების პროდუქტებში, რომლებიც განკუთვნილია სურსათთან მოკლევადიანი შეხებისათვის (≤ 30 წთ ოთახის ტემპერატურაზე), რომლებისთვისაც იმიტატორები A და/ან B მოცემულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის N7 ცხრილში; ან ბ) სხვა პოლიკარბონატების წარმოებისთვის და/ან სხვა პირობებში იმ პირობით, რომ დიმეთილკარბონატის მიგრაცია სურსათში არ აღემატება 0,05 მგ/კგ -ს და რომ 1000 Da-ზე დაბალი მოლეკულური წონის პოლიკარბონატის ყველა ოლიგომერის მიგრაცია სურსათში არ აღემატება 0,05 მგ/კგ.</p>	
1068		2530-83-8	[3- (2,3-ეპოქსიპროპოქსი) პროპილ]ტრიმეთოქსი სილანი	არა	დიახ	არა			<p>გამოიყენება მხოლოდ როგორც მისაწებელი აგენტის კომპონენტი</p>	

									<p>ბოჭკოვანი მინის დამუშავებისას, რომელიც განკუთვნილია ბოჭკოვან მინაში დაბალი დიფუზიის კოეფიციენტის პლასტმასებში - პოლიეთილენ ტერეფთალატი (PET), პოლიკარბონატი (PC), პოლიბუთილენ ტერეფტალატი (PBT), თერმორეაქტიული პოლიეთერები და ეპოქსი-ბისფენოლი ვინილითერი) განლაგებისათვის ყველა სახის სურსათთან შეხებისათვის. დამუშავებულ ბოჭკოვან მინაში არ უნდა იქნეს გამოვლენილი ნივთიერების ნარჩენები 0,01 მგ/კგ ყველა ნივთიერებისათვის და 0,06 მგ/კგ რეაქციის ყოველი პროდუქტისთვის (ჰიდროლიზებული მონომერები და ეპოქსიდის შემცველი ციკლური დიმერი, ტრიმერი და ტეტრამერი) .</p>
1069		75-28-5	იზობუტანი	დიახ	არა	არა			<p>გამოიყენება მხოლოდ როგორც ასაქაფებელი საშუალება.</p>

1075			მონმორილონიტის თიხა, მოდიფიცირებული ჰექსადეცილტრიმეთილ ამონიუმის ბრომიდით	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ დანამატად 4,0% w/w-მდე რაოდენობით პლასტმასებში, პოლირემქავას ფუძეზე, რომლებიც განკუთვნილია წყლის ხანგრძლივად შესანახად გარემოს ტემპერატურაზე ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე. შესაძლებელია წარმოქმნას თრომბოციტები ნაწილობრივად, რომლებიც ერთ ან ორ განზომილებაში. 100 ნმ-ზე თხელია ასეთი თხელი ფირფიტები უნდა იყოს ორიენტირებული პოლიმერის ზედაპირის პარალელურად და სრულად უნდა იყოს ჩაშენებული პოლიმერში.	
1076		1227937-46-3	ფოსფორის მჟავა, ტრიფენილეთერი, პოლიმერი ალფა-ჰიდრო-ომეგა-ჰიდროქსიპოლი[ოქსი (მეთილ-1,2-ეთანედილი)], C10-16 ალკილის ეთერით	დიახ	არა	არა	0,05		გამოიყენება მხოლოდ 0,2% w/w-მდე დანამატის სახით მაღალი დარტყმის მედეგობის მქონე პოლისტიროლის მასალებში და ნაკეთობებში, რომელიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის ოთახის და უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ცხელი შევსების და/ან 100°C-მდე	

									გაცხელების ჩათვლით 2 საათის განმავლობაში. ის არ უნდა იქნეს გამოყენებული სურსათთან შეხებისათვის, რომლისთვისაც იმიტატორი C და/ან D1 განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის N7 დანართით.	
1077			ტიტანის დიოქსიდი ზედაპირულად დამუშავებულია ფტორით მოდიფიცირებული ალუმინით	დიახ	არა	არა			გამოიყენება მხოლოდ 25,0%-მდე w/w, მათ შორის ნანოფორმაში.	29

ნაწილი 2. ნივთიერებების ჯგუფური შეზღუდვა

ცხრილი N2 „ნივთიერებების ჯგუფური შეზღუდვა“ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

სვეტი (1) (ჯგუფის შეზღუდვა №) – ნივთიერებების იმ ჯგუფების საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლებზეც ვრცელდება ჯგუფის შეზღუდვა. ეს არის რიცხვი, რომელიც მითითებულია ამ დანართის (დანართი №1) ცხრილი №1-ის მე-9 სვეტში;

სვეტი (2) (FCM სუბსტანციის №) – იმ ნივთიერებების უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომრები, რომლებზეც ვრცელდება ჯგუფის შეზღუდვა. ეს არის რიცხვი, რომელიც მითითებულია ამ დანართის (დანართის №1) ცხრილი №1-ის პირველ სვეტში;

სვეტი (3) (SML (T) [მგ/კგ]) – სპეციფიკური მიგრაციის საერთო/სრულ ზღვარი ამ ჯგუფში გამოყენებული ნივთიერებების ჯამისთვის. იგი გამოიხატება მგ-ში ყოველ კგ სურსათზე. თუ ნივთიერება არ უნდა მიგრირებდეს შესამჩნევი რაოდენობით, მითითებულია, როგორც ND;

სვეტი (4) (ჯგუფური შეზღუდვის სპეციფიკაცია) – იმ ნივთიერების მითითება, რომლის მოლეკულური წონა წარმოადგენს შედეგის გამოხატვის საფუძველს.

ცხრილი №2

ნივთიერებების ჯგუფური შეზღუდვა

ჯგუფური შეზღუდვის №	ნივთიერებების ჯგუფების საიდენტიფიკაციო №	სპეციფიკური მიგრაციის საერთო/სრულ ზღვარი ამ ჯგუფში გამოყენებული ნივთიერებების ჯამისთვის	ჯგუფური შეზღუდვის სპეციფიკაცია
(1)	(2)	(3)	(4)
1	128 211	6	გამოსახული, როგორც აცეტალდეჰიდი
2	89 227 263 1048	30	გამოსახული, როგორც ეთილენგლიკოლი

3	234 248	30	გამოსახული, როგორც მალეინის მჟავა
4	212 435	15	გამოსახული, როგორც კაპროლაქტამი
5	137 472	3	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
6	412 512 513 588	1	გამოსახული, როგორც იოდი
7	19 20	1,2	გამოსახული, როგორც მესამეული ამინი
8	317 318 319 359 431 464	6	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
9	650 695 697 698 726	0,18	გამოსახული, როგორც კალა
10	28 29 30 31 32 33 466 582 618 619 620 646 676 736	0,006	გამოსახული, როგორც კალა
11	66 645 657	1,2	გამოსახული, როგორც კალა

12	444 469 470	30	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
13	163 285	1,5	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
14	294 368 894	5	გამოსახული, როგორც ნივთიერებების და მათი დაჟანგვის პროდუქტების ჯამი
15	98 196 344	15	გამოსახული, როგორც ფორმალდეჰიდი
16	407 583 584 599	6	გამოსახული, როგორც ბორი, ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა გათვალისწინებით
17	4 167 169 198 274 354 372 460 461 475 476 485 490 653	ND	გამოსახული, როგორც იზოციანატის ნაწილი
18	705 733	0,05	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
19	505 516 519	10	გამოსახული, როგორც SO ₂
20	290 386 390	30	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
21	347 349	5	გამოსახული, როგორც ტრიმეთილის მჟავა
22	70		გამოსახული, როგორც

	147 176 218 323 325 365 371 380 425 446 448 456 636	6	აკრილის მჟავა
23	150 156 181 183 184 355 370 374 439 440 447 457 482	6	გამოსახული, როგორც მეთაკრილის მჟავა
24	756 758	5	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
25	720 747	0,05	მონო- <i>n</i> -დოდეცილკალა ტრის (იზოოქტილ მერკაპტოაცეტატი), დი - <i>n</i> -დოდეცილკალა ბის (იზოოქტილ მერკაპტოაცეტატი), მონო-დოდეცილკალა ტრიქლორიდის და დი – დოდეცილკალა დიქლორიდის) ჯამი, გამოსახული როგორც მონოდა დი-დოდეცილკალა ქლორიდის ჯამი
26	728 729	9	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი

27	188 291	5	გამოსახული, როგორც იზოფტალის მჟავა
28	191 192 785	7,5	გამოსახული, როგორც ტერაფტალის მჟავა
29	342 672	0,05	გამოსახული, როგორც 6-ჰიდროქსიჰექსანის მჟავისა და კაპროლაქტონის ჯამი
30	254 344 672	5	გამოსახული, როგორც 1,4 – ბუტანედიოლი
31	73 797	30	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
32	8 72 73 138 140 157 159 207 242 283 532 670 728 729 775 783 797 798 810 815	60	გამოსახული, როგორც ნივთიერებების ჯამი
33	180 874	ND	გამოსახული, როგორც ევგენოლი
34	421 988	0,05	გამოსახული, როგორც 1,3-ბენზოლედიმეთანამინი
35	467 744 1059	0,05	გამოსახული, როგორც კროტონის მჟავა

ნაწილი 3. შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ

ცხრილი №3 – „შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ“ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

სვეტი (1) (შენიშვნა №) – შენიშვნის საიდენტიფიკაციო ნომერი. ეს ნომერი მითითებულია ამ დანართის (დანართი №1) ცხრილი №1-ის მე-11 სვეტში.

სვეტი (2) (შენიშვნები შესაბამისობის შემოწმებასთან დაკავშირებით) – წესები, რომელიც დაცული უნდა იქნეს ნივთიერების შესაბამისობის შემოწმებისას, კონკრეტული მიგრაციის ზღვართან ან სხვა შეზღუდვებთან დაკავშირებით, ან შეიცავს შენიშვნებს იმ სიტუაციებთან დაკავშირებით, როდესაც არსებობს შეუსაბამობის რისკი.

ცხრილი №3

შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ

შენიშვნის №	შენიშვნები შესაბამისობის შემოწმების შესახებ
(1)	(2)
(1)	ნარჩენი რაოდენობის შემცველობის შესაბამისობის შემოწმება ზედაპირის ფართობზე, რომელიც შეხებაშია სურსათთან (QMA), ანალიზური მეთოდის ხელმისაწვდომობამდე.
(2)	არსებობს რისკი, რომ ცხიმიანი სურსათის იმიტატორებში SML ან OML შესაძლებელია იქნეს გადაჭარბებული.
(3)	არსებობს რისკი, რომ ნივთიერების მიგრაცია აუარესებს სურსათის ორგანოლეპტიკურ თვისებებს, რომელთაზეც შეხებაშია. საბოლოო პროდუქტი არ შეესაბამება „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
(4)	ცხიმთან შეხებისას შესაბამისობის გამოკვლევა/ტესტირება უნდა განხორციელდეს ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების შემცველი სურსათის იმიტატორის გამოყენებით, როგორცაა იმიტატორი D2.
(5)	შესაბამისობის გამოკვლევა/ტესტირება ცხიმთან შეხებისას უნდა განხორციელდეს იზოოქტანის გამოყენებით, როგორც იმიტატორი D2-ის შემცველი (არასტაბილური) .
(6)	ძალიან მაღალ ტემპერატურაზე მიგრაციის ზღვარი შეიძლება გადაჭარბებულ იქნეს.
(7)	სურსათის გამოკვლევისას/ტესტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5-ის ნაწილი 1-ის „დ“ პუნქტი.
(8)	ნარჩენი რაოდენობის შემცველობის შესაბამისობის შემოწმება ზედაპირის ფართობზე, რომელიც შეხებაშია სურსათთან (QMA); $QMA = 0,005 \text{ მგ/6 დმ}^2$.
(9)	ნარჩენი რაოდენობის შემცველობის შესაბამისობის შემოწმება ზედაპირის ფართობზე, რომელიც შეხებაშია სურსათთან (QMA), მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების ანალიზური

	მეთოდის ხელმისაწვდომობამდე. ზედაპირის ფართობის თანაფარდობა სურსათის რაოდენობასთან უნდა შეადგენდეს 2 დმ ² /კგ-ზე ნაკლებს.
(10)	ნარჩენი რაოდენობის შემცველობის შესაბამისობის შემოწმება ზედაპირის ფართობზე, რომელიც შეხებაშია სურსათთან (QMA), სურსათთან ან სურსათის იმიტატორთან რეაქციის შემთხვევაში.
(11)	ხელმისაწვდომია მხოლოდ ანალიზის მეთოდი, ნარჩენი მონომერის დამუშავებულ შემავსებელში განსაზღვრისათვის.
(12)	არსებობს პოლიოლეფინებში SML-ის გადაჭარბების რისკი.
(13)	ხელმისაწვდომია მხოლოდ პოლიმერის შემცველობის განსაზღვრის მეთოდი და სურსათის იმიტატორში საწყისი ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდი.
(14)	არსებობს SML-ის გადაჭარბების რისკი პლასტმასისთვის, რომელიც 0,5%w/w-ზე მეტ ნივთიერებას შეიცავს.
(15)	არსებობს SML-ის გადაჭარბების რისკი მაღალი ალკოჰოლის შემცველ სურსათთან შეხებისას.
(16)	ცხიმთან სურსათთან შეხებისას, არსებობს SML-ის გადაჭარბების რისკი დაბალი სიმკვრივის მქონე პოლიეთილენიდან (LDPE), რომელიც შეიცავს 0,3%w/w-ზე მეტ ნივთიერებას.
(17)	ხელმისაწვდომია მხოლოდ პოლიმერში ნივთიერების ნარჩენი შემცველობის განსაზღვრის მეთოდი.
(18)	არსებობს SML-ის გადაჭარბების რისკი, დაბალი სიმკვრივის მქონე პოლიეთილენიდან (LDPE)
(19)	არსებობს OML-ის გადაჭარბების რისკი, წყლის ფუძეზე დამზადებულ სურსათთან პირდაპირ შეხებისას ეთილვინილის სპირტისა (EVOH) და პოლივინილის სპირტის კოპოლიმერებიდან (PVOH) .
(20)	ნივთიერება მინარევის სახით შეიცავს ანილინს. აუცილებელია დანართი №2-ის ნაწილი 2-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირველადი არომატული ამინების (PAA) დადგენილ შეზღუდვასთან შესაბამისობის შემოწმება.
(21)	სურსათთან ან სურსათის იმიტატორთან რეაქციის შემთხვევაში, შესაბამისობის შემოწმება უნდა მოიცავდეს შემოწმებას, რომ ჰიდროლიზის პროდუქტების – ფორმალდეჰიდის და 1,4-ბუტანდიოლის მიგრაციის ზღვრები არ არის გადაჭარბებული.
(22)	უალკოჰოლო სურსათთან შეხებისთვის გამოყენებისას, რომლებისთვისაც დანართი №3-ის მე-7 ცხრილში მითითებულია სურსათის იმიტატორი D1, შესაბამისობის შესამოწმებლად, სურსათის იმიტატორი C გამოყენებული უნდა იქნეს D1 სურსათის იმიტატორის ნაცვლად.
(23)	როდესაც ამ ნივთიერების შემცველი საბოლოო მასალა ან ნაკეთობა (საგანი) განთავსებულია ბაზარზე, ამ ტენიკური რეგლამენტის მე-13 მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს კარგად აღწერილი მეთოდი იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა ოლიგომერის მიგრაცია ცხრილი №1-ის მე-10 სვეტში მითითებულ შეზღუდვებს. მეთოდი შესაფერისი უნდა იყოს სააგენტოს მიერ შესაბამისობის შესამოწმებლად. თუ ხელმისაწვდომია ადექვატური მეთოდი, უნდა იქნეს მითითებული მინიშნება ამ მეთოდის შესახებ. თუ ამ მეთოდისთვის საჭიროა საკალიბრო ნიმუში, ის უნდა მიეწოდოს სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.

(24)	ნივთიერება ან მისი ჰიდროლიზის პროდუქტები დაშვებული საკვებდანამატებია და აუცილებელია მათი შესაბამისობის შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
(25)	პოლიეთილენ ტერეფტალატში (PET) ხელახლა გახურების აგენტად გამოყენებისას არ არის საჭირო სპეციფიკური მიგრაციის ლიმიტთან შესაბამისობის შემოწმება; ყველა სხვა შემთხვევაში, მიგრაციის სპეციფიკურ ლიმიტთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი გამოხატულია მგ (ვოლფრამი) / კგ (სურსათი) .
(26)	სტეარამიდის მიგრაცია, რომელიც განსაზღვრულია ცხრილში №1-ით FCM No 306 ნივთიერებისათვის, რომლისთვისაც არ გამოიყენება სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი, უნდა გამოირიცხოს ნარევის მიგრაციის შესაბამისობის შემოწმებიდან.
(27)	როდესაც საბოლოო მასალა ან ნაკეთობა (საგანი), რომელიც შეიცავს ამ ნივთიერებას და წარმოებულია სხვა პირობებში, გარდა ცხრილი №1-ის მე-10 სვეტით (ა) განსაზღვრული პირობებისა, განთავსდება ბაზარზე, კარგად აღწერილი მეთოდი იმის დასადგენად, რომ შესაბამეა თუ არა ოლიგომერის მიგრაცია ცხრილი №1-ის მე-10 სვეტის (ბ) პუნქტში მითითებულ შეზღუდვებს, უნდა წარმოადგენდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4-5-ე პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციის ნაწილს. ეს მეთოდი შესაფერისი უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესაბამისობის გადასამოწმებლად. თუ სხვა ადეკვატური მეთოდი ხელმისაწვდომია, მითითება უნდა მოხდეს ამ მეთოდზე. თუ მეთოდის გამოყენება მოითხოვს საკალიბრო ნიმუშს, საკმარისი რაოდენობის ნიმუში, მოთხოვნის მიხედვით, უნდა მიეწოდოს კომპეტენტურ ორგანოს.
(28)	აღმოჩენის ზღვარი სურსათისათვის ან სურსათის იმიტატორისათვის შეადგენს 0,002 მგ/კგ.
(29)	პოლარული პოლიმერებისათვის, რომლებიც სურსათთან შეხებისას განიცდიან გაბერვა-გაჯირჯევას და რომლებისთვისაც დანართი №3-ით განსაზღვრულია იმიტატორი B, არსებობს რისკი, რომ შეხების გარკვეულ პირობებში ალუმინისა და ფტორის მიგრაციის ზღვარი იქნება გადაჭარბებული. 100°C ტემპერატურაზე 4 საათზე მეტი კონტაქტის/შეხების პირობებში, ეს გადაჭარბება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

ნაწილი 4. ნივთიერებების დეტალური სპეციფიკაციები

ცხრილი №4 – „ნივთიერებების დეტალური სპეციფიკაციები“ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

სვეტი 1 – (FCM ნივთიერება №) ნივთიერებების უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც ვრცელდება სპეციფიკაციები და რომელიც მოცემულია ამ დანართის ცხრილი N1-ის პირველ სვეტში.

სვეტი 2 – (ნივთიერების დეტალური სპეციფიკაცია) – შეიცავს სპეციფიკაციებს ნივთიერებებზე.

წივთიერებების დეტალური სპეციფიკაციები

(1) FCM წივთიერების N	(2) წივთიერების დეტალური სპეციფიკაციები	
744	განმარტება	<p>კოპოლიმერი მიიღება <i>Alcaligenes eutrophus</i>-ის კონტროლირებადი ფერმენტაციით, ნახშირბადის წყაროდ გლუკოზის და პროპანის მყავის გამოყენებით. გამოყენებული მიკროორგანიზმი არ არის გენეტიკურად მოდიფიცირებული და მიღებულია <i>Alcaligenes eutrophus</i>-ის ველური, H16 NCIMB 10442 შტამიდან. საწყისი შტამები ინახება ამპულაში ლიოფილიზებულ მდგომარეობაში, თხევადი აზოტის გარემოში და გამოიყენება ინოკულატის მისაღებად ფერმენტაციისათვის, ფერმენტორში დუღილის პროდუქტების გამოკვლევა ხდება ყოველდღიურად, როგორც მიკროსკოპულად, ასევე სხვადასხვა აგარიზებულ საკვებ არეზე, სხვადასხვა ტემპერატურაზე კულტივირებისას, კოლონიების მორფოლოგიური გამოკვლევისათვის. თერმულად დამუშავებული ბაქტერიებიდან კონტროლირებადი კოპოლიმერები იზოლირებულია უჯრედული კომპონენტების კონტროლირებადი მონელებით, გარეცხვით და გამრობით. ეს კოპოლიმერები ჩვეულებრივ წარმოდგენილია გარკვეული შემადგენლობის გრანულების სახით, რომელიც მიიღება მათი დნობით, რომლებიც ფორმირების, კრიოსტალიზაციის, პლასტიფიკაციის, შემავსებლის, სტაბილიზატორის და საღებავის სახით შეიცავს დანამატებს, რომლებიც შეესაბამება ზოგად და ინდივიდუალურ სპეციფიკაციებს.</p>
	ქიმიური დასახელება	პოლი (3-D-ჰიდროქსიბუტანოატ-კო-3-D-ჰიდროქსიპენტანოატ)
	CAS ნომერი	0080181-31-3
	სტრუქტურული ფორმულა	$ \begin{array}{c} \text{CH}_3 \\ \\ \text{CH}_2 \\ \\ (-\text{O}-\text{CH}-\text{CH}_2-\text{C}-)_m - (-\text{O}-\text{CH}-\text{CH}_2-\text{C}-)_n \end{array} $ <p style="text-align: center;">სადაც, n/ (m+n) მეტია 0-მე და ნაკლებია ან ტოლია 0,25-ზე</p>
	საშუალო მოლეკულური წონა	არანაკლებ 150 000 დალტონი (იზომება გელ- გამტარი ქრომატოგრაფიით)
	შემადგენლობა	არანაკლებ 98%, პოლი (3-D-ჰიდროქსიბუტანოატ-კო-3-D-ჰიდროქსი-პენტანოატ) 3-D-ჰიდროქსიბუტანური და 3-D-ჰიდროქსიპენტანური მყავების ნარევის ჰიდროლიზის შემდეგ
	აღწერილობა	იზოლაციის შემდეგ – თეთრი ან თითქმის მოთეთრო ფხვნილი
	მხასიათებლები იდენტიფიკაციის:	-ხსნადია ქლორნახშირწყალბადებში, როგორცაა ქლოროფორმი ან დიქლორმეთანი, მაგრამ პრაქტიკულად უხსნადია ეთანოლში, ალიფატურ ალკანებში და წყალში.
	- ხსნადობა	
	- შეზღუდვა	-სურსათში პროტონის მყავის სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი შეადგენს 0,05 მგ/კგ
	სისუფთავე	გრანულაციამდე კოპოლიმერის ფხვნილის ნედლეული უნდა შეიცავდეს
	- აზოტი	არაუმეტეს 2500 მგ/კგ პლასტამასში
	- თუთია	არაუმეტეს 100 მგ/კგ პლასტამასში
	- სპილენძი	არაუმეტეს 5 მგ/კგ პლასტამასში
	- ტყვია	არაუმეტეს 2 მგ/კგ პლასტამასში
	- დარიშხანი	არაუმეტეს 1 მგ/კგ პლასტამასში
	- ქრომი	არაუმეტეს 1 მგ/კგ პლასტამასში

დანართი №2

შეზღუდვები პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე)

პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე) გამოიყენება შემდეგი სახის შეზღუდვები:

ნაწილი 1. პლასტმასის მასალები და ნაკეთობები (საგნები), სურსათში ან სურსათის იმიტატორში არ უნდა გამოყოფდნენ ცხრილი №5-ით – „პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისგან (საგნები) მიგრირებული ნივთიერებების მიგრაციის ზღვარის ჩამონათვალი“-თ განსაზღვრულ ნივთიერებებს, სპეციფიკური მიგრაციის ზღვარის იმაზე უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს განსაზღვრულია ამ ცხრილის მე-3 სვეტით, ამ ცხრილის მე-4 სვეტით განსაზღვრული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრულია ცხრილი №5-ით, გამოყენებული უნდა იქნეს დანართი №5-ის ნაწილი 2-ით „სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნების), რომლებიც ჯერ არ არიან სურსათთან შეხებაში“. თუ დანართი №5-ის მე-2 ნაწილი არ იძლევა ამ ნივთიერების გამოყენების საფუძველს, მაშინ მისი გამოყენება შესაძლებელია მინარევის სახით ცხრილი №5-ში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ცხრილი №5

პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისგან (საგნები) მიგრირებული ნივთიერებების მიგრაციის ზღვარის ჩამონათვალი

(1)	(2)	(3)	(4)
დასახელება	მარილები, რომლებიც დაშვებულია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად	სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი (SML) მგ/კგ სურსათში ან სურსათის იმიტატორში	შენიშვნა
ალუმინი	დიახ	1	
ამონიუმი	დიახ	-	(1)
სტიბიუმი	არა	0,04	(2)
დარიშხანი	არა	ND	
ბარიუმი	დიახ	1	
კადმიუმი	არა	ND (LOD 0,002)	
კალციუმი	დიახ	-	(1)
ქრომი	არა	ND	(3)

კობალტი	დიახ	0,05	
სპილენძი	დიახ	5	
ევროპიუმი	დიახ	0,05	(4)
გადოლინიუმი	დიახ	0,05	(4)
რკინა	დიახ	48	
ლანთანი	დიახ	0,05	(4)
ტყვია	არა	ND	
ლითიუმი	დიახ	0,6	
მაგნიუმი	დიახ	-	(1)
მანგანუმი	დიახ	0,6	
ვერცხლისწყალი	არა	ND	
ნიკელი	არა	0,02	
კალიუმი	დიახ	-	(1)
ნატრიუმი	დიახ	-	(1)
ტერბიუმი	დიახ	0,05	(4)
თუთია	დიახ	5	

ND: ვერ გამოვლინდა;

მე-9 მუხლის მეორე მე-3 და მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული გამოვლენის ზღვარი;

LOD: გამოვლენის მითითებული ზღვარი.

შენიშვნები:

- (1) - მიგრაცია რეგულირდება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-10 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებით;
- (2) - გამოიყენება დანართი №1-ის ცხრილი №1-ის შენიშვნა FCM N 398: სპეციფიკური მიგრაციის ზღვარმა (SML) ძალიან მაღალ ტემპერატურაზე შეიძლება გადააჭარბოს;
- (3) - რეგლამენტთან შესაბამისობის გადასამოწმებლად, გამოვლენის ლიმიტი 0,01 მგ/კგ გამოიყენება საერთო ქრომის მიმართ. თუმცა, თუ ბიზნესოპერატორს, რომელმაც მასალა განათავსა ბაზარზე, შეუძლია დაამტკიცოს მანამდე არსებული დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, რომ მასალაში ექვსვალენტური ქრომის არსებობა გამოირიცხებია, რადგანაც ის არ არის გამოყენებული ან წარმოქმნილი წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში, საერთო ქრომისათვის ზღვარი სურსათში შეადგენს 3,6 მგ/კგ;
- (4) - ლანთანიდური ნივთიერებები – ევროპიუმი, გადოლინიუმი, ლანთანი და /ან ტერბიუმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით:
 - ა) იმ პირობით, რომ ყველა ლანთანიდების ჯამი სურსათში ან სურსათის იმიტატორში არ აღემატება მიგრაციის ზღვრულ სიდიდეს 0,05 მგ/კგ;
 - ბ) კარგად აღწერილი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ანალიზური დადასტურება, რომ გამოყენებული ლანთანიდური ნივთიერებები, სურსათში ან სურსათის იმიტატორში იმყოფება დისოცირებულ, იონურ ფორმაში და ეს დადასტურება წარმოადგენს მე-13 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტაციის ნაწილს.

ნაწილი 2. პირველადი არომატული ამინები (PAA), რომელთათვისაც დანართი №1-ის ცხრილი №1-ით არ არის განსაზღვრული მიგრაციის ზღვარი, პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნებიდან) არ უნდა მიგრირებდნენ ან სხვა სახით გადადიოდნენ სურსათში ან სურსათის იმიტატორებში. მათი აღმოჩენა, სურსათში და სურსათის იმიტატორებში, ანალიზური ხელსაწყოების საშუალებით, რომელთა აღმოჩენის ზღვარი შეადგენს 0,002 მგ/კგ-ს, ვერ ხდება. თითოეული პირველადი არომატული ამინის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.

PAA, რომელთათვისაც დანართი №1-ის ცხრილი №1-ით არ არის განსაზღვრული მიგრაციის ზღვარი, „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, შემოწმებული უნდა იქნეს ან ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ამ PAA ჯამი, ერთ კილოგრამ სურსათში ან სურსათის იმიტატორში, არ უნდა აღემატებოდეს 0,01 მგ/კგ-ს.

დანართი №3

სურსათის იმიტატორები

ნაწილი 1. სურსათის იმიტატორები

პლასტმასის მასალებთან და ნაკეთობებთან (საგნები), რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან, შესაბამისობის დემონსტრირებისთვის, ცხრილი N6-ით განსაზღვრულია „სურსათის იმიტატორების ჩამონათვალი“.

ცხრილი №6

სურსათის იმიტატორების ჩამონათვალი

სურსათის იმიტატორი	აბრევიატურა
ეთანოლი 10% (მოც/მოც – v/v)	სურსათის იმიტატორი A
ძმარმჟავა 3% (მასა-მოც – w/v)	სურსათის იმიტატორი B
ეთანოლი 20% (მოც/მოც – v/v)	სურსათის იმიტატორი C
ეთანოლი 50% (მოც/მოც – v/v)	სურსათის იმიტატორი D1
ნებისმიერი მცენარეული ზეთები, რომლებიც შეიცავენ 1%-ზე ნაკლებ გაუსაპნავ ნივთიერებებს	სურსათის იმიტატორი D2

პოლი (2,6-დიფენილ-p-ფენილინ ოქსიდი), ნაწილაკების ზომა 60-80 მეში, ფორების ზომა 200 ნმ	სურსათის იმიტატორი E
--	----------------------

ნაწილი 2. სურსათის იმიტატორების ზოგადი დანიშნულება

ა) სურსათის იმიტატორები A, B და C გამოიყენება სურსათისთვის, რომლებიც ხასიათდებიან ჰიდროფილური თვისებებით და აქვთ უნარი, მოახდინონ ჰიდროფილური ნივთიერებების ექსტრაქცია. სურსათის იმიტატორი B გამოყენებული უნდა იქნეს სურსათისათვის, რომლის pH ნაკლებია 4,5-ზე. სურსათის იმიტატორი C გამოყენებული უნდა იქნეს 20%-მდე მოცულობითი სპირტშემცველობის მქონე სურსათისათვის და ასევე იმ სურსათისათვის, რომელიც შეიცავს შესაბამისი რაოდენობით ორგანულ ინგრედიენტებს, რომლებიც სურსათს უფრო ლიპოფილურს ხდის.

ბ) სურსათის იმიტატორები D1 და D2 გამოიყენება სურსათისათვის, რომლებიც ხასიათდებიან ლიპოფილური თვისებებით და აქვთ უნარი, მოახდინონ ლიპოფილური ნივთიერებების ექსტრაქცია. სურსათის სიმულანტი D1 გამოიყენება იმ სურსათისათვის სადაც ალკოჰოლის შემცველობა 20%-ზე მაღალია. სურსათის იმიტატორი D2 გამოყენებული უნდა იქნეს სურსათისათვის, რომლის ზედაპირი შეიცავს თავისუფალ ცხიმებს.

გ) სურსათის იმიტატორი E გამოყენებული უნდა იქნეს მშრალ საკვებში სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის.

ნაწილი 3. სურსათის იმიტატორები, რომლებიც გამოიყენება მიგრაციის გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის, იმ მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნები), რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან

ა) მასალებისა და ნაკეთობებისაგან (საგნები), რომლებიც ჯერ არ არიან სურსათთან შეხებაში, მიგრაციის გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის შერჩეული უნდა იქნეს სურსათის იმიტატორები ცხრილი №7-ის – „სურსათის იმიტატორები სურსათის სპეციფიკური კატეგორიებისათვის“.

ბ) იმ მასალებისა და ნაკეთობებისაგან (საგნები) მიგრაციის გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა კატეგორიის სურსათთან შეხებისათვის, მაგრამ არ არის განსაზღვრული ცხრილი №7-ით, ან განკუთვნილია კომბინირებულ სურსათთან შეხებისთვის, სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევისთვის/ტესტირებისათვის (SPT) გამოიყენება ამ დანართის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ზოგადი დანიშნულების სურსათის იმიტატორები და სრული მიგრაციის გამოკვლევისთვის/ტესტირებისათვის (OMT), გამოყენებული უნდა იქნეს ამ დანართის მე-4 ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნები.

ცხრილი №7 – „სურსათის იმიტატორები სურსათის სპეციფიკური კატეგორიებისათვის“ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

სვეტი 1 – (ნომერი), სურსათის კატეგორიის ნომერი;

სვეტი 2 – (სურსათის აღწერილობა), სურსათის კატეგორიაში შემავალი პროდუქტების აღწერილობა;

სვეტი 3 – (სურსათის იმიტატორები) – ქვესვეტები, თითოეული სურსათის იმიტატორისათვის;

ცხრილი №7

სურსათის იმიტატორები სურსათის სპეციფიკური კატეგორიებისათვის

(1) ნომერი	(2) სურსათის დასახელება	(3) სურსათის იმიტატორები					
		A	B	C	D1	D2	E
		01					
სასმელები							
01.01	უალკოჰოლო სასმელები ან ალკოჰოლური სასმელები 6% ან უფრო ნაკლები მოცულობითი სპირტშემცველობით:						
	<i>ა. გამჭვირვალე სასმელები: წყალი, სიდრი, ხილის ან ბოსტნეულის ჩვეულებრივი სიმაგრის ან კონცენტრირებული წვენები, ხილის ნექტარი, ლიმონათები, სიროფი, მწარე სასმელები, ნაყენები, ყავა, ჩაი, ლუდი, გამაგრილებელი სასმელები, ენერგეტიკული სასმელები და მსგავსი, არომატიზებული წყალი, ყავის თხევადი ექსტრაქტი</i>		X (*)	X			
	<i>ბ. გაუმჭვირვალე სასმელები: წვენები და ნექტარები და გამაგრილებელი სასმელები ხილის რბილობით, მუსები ხილის რბილობით, თხევადი შოკოლადი</i>		X (*)		X		
01.02	ალკოჰოლური სასმელები 6% დან 20%-მდე მოცულობითი სპირტშემცველობით			X			

01.03	ალკოჰოლური სასმელები 20%-ზე მეტი მოცულობითი სპირტმემცველობით და ნაღების ლიქიორები (ყველა)				X		
01.04	სხვადასხვა: არადენატურირებული ეთილის სპირტი		X (*)			ჩანაცვლება 95% ეთანოლით	
02	მარცვლეული, მარცვლეულის პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი, ორცხობილა, ნამცხვრები და სხვა გამომცხვარი ნაწარმი						
02.01	სახამებელი						X
02.02	მარცვლოვნები, გადაუმუშავებელი, ბურბუშელები, ფანტელები (მათ შორის პოპკორნი, სიმინდის ფანტელები და მსგავსი						X
02.03	მარცვლოვნების ფქვილი და შროტი						X
02.04	მშრალი მაკარონის (პასტა) ნაწარმი, მაგ. მაკარონი, სპაგეტი და მსგავსი პროდუქტები და ნედლი პასტა						X
02.05	ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ორცხობილა, ნამცხვრები, პური და სხვა პურფუნთუშეული, მშრალი:						
	<i>ა. ზედაპირზე ცხიმოვანი ნივთიერებებით</i>					X/3	
	<i>ბ. სხვა</i>						X
02.06	<i>ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ნამცხვრები, ცომი, პური, და სხვა პურფუნთუშეული, ახალი:</i>						
	<i>ა. ზედაპირზე ცხიმოვანი ნივთიერებებით</i>					X/3	
	<i>ბ. სხვა</i>						X
0.3	შოკოლადი, შაქარი და მათი პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი						
03.01	შოკოლადი, შოკოლადით დაფარული (მინანქარი) პროდუქტები, შემცველები და შემცველებით დაფარული (მინანქარი) პროდუქტები					X/3	
03.02	საკონდიტრო ნაწარმი:						
	<i>ა. მყარ მდგომარეობაში: I. ზედაპირზე ცხიმოვანი</i>					X/3	

	ნივთიერებებით II. სხვა						X
	ბ. პასტიტური: I. ზედაპირზე ცხიმოვანი ნივთიერებებით II. ნოტიო (ტენიანი)			X		X/2	
03.03	შაქარი და შაქრის პროდუქტები:						
	ა. მყარ მდგომარეობაში: კრისტალები ან ფხვნილი						X
	ბ. მელასა, შაქრის სიროფი, თაფლი და მსგავსი პროდუქტები	X					
04.	ხილი, ბოსტნეული და მათი პროდუქტები						
04.01	ხილი, ახალი ან გაცივებული:						
	ა. გაუფცქვნილი და დაუჭრელი						X/10
	ბ. გაფცქვნილი და დაჭრილი	X	X (*)				
04.02	გადამუშავებული ხილი:						X
	ა. მშრალი ან გაუწყლოებული ხილი, მთელი, დაჭრილი, ფქვილი ან ფხვნილი						
	ბ. ხილი ხილფაფის, კონსერვის (მურაბა), პასტის სახით ან საკუთარ წვენში ან შაქარში (ჯემები, კომპოტები და სხვა მსგავსი პროდუქტები)		X (*)	X			
	გ. ნაყოფები, დაკონსერვებული თხევად არეში: I. ზეთოვან არეში II. სპირტიან არეში					X	
04.03	კაკლოვანები (არაქისი, წაბლი, ნუში, კაკალი, კედარის კაკალი, თხილი და სხვ):						
	ა. ნაჭუჭის გარეშე, მშრალი, ფანტელები ან ფხვნილი						X
	ბ. ნაჭუჭის გარეშე და მოხალული						X

	<i>გ. პასტის ან კრემის სახით</i>	X				X	
04.04	ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული:						
	<i>ა. გაუფცქვნილი და დაუჭრილი</i>						X/10
	<i>ბ. გაფცქვნილი და დაჭრილი</i>	X	X (*)				
04.05	გადამუშავებული ბოსტნეული:						
	<i>ა. მშრალი ან გაუწყლოებული ბოსტნეული, მთელი, დაჭრილი ან ფქვილის ან ფხვნილის სახით</i>						X
	<i>ბ. ბოსტნეული პიურეს სახით, კონსერვები, პასტა ან თავისივე წვენში (მათ შორის მარინაჟში და მარილწყალში)</i>		X (*)	X			
	<i>გ. დაკონსერვებული ბოსტნეული: I. ზეთოვან არეში II. სპირტიან არეში</i>	X				X	
05.	ცხიმები და ზეთები						
05.01	მცენარეული და ცხოველური ცხიმები და ზეთები, ბუნებრივი (ნატურალური) ან დამუშავებული (მათ შორის კაკაოს ცხიმი, ლარდი-ღორის ქონი გადამდნარი, ხელახლა გამყარებული ცხიმი					X	
05.02	მარგარინი, ნაღების კარაქი და „ცხიმი – წყალი ემულსიის“ სხვა ცხიმები					X/2	
06	ცხოველური პროდუქტები და კვერცხი						
06.01	თევზი:						
	<i>ა. ახალი, გაცივებული, გადამუშავებული, დამარილებული ან შებოლილი თევზის ქვირითის (კვერცხის) ჩათვლით</i>	X					X/3 (**)
	<i>ბ. დაკონსერვებული თევზი: I. ზეთოვან არეში II. წყლიან არეში</i>	X	X (*)	X			X
06.02	კიბოსნაირები და მოლუსკები (მათ შორის ხამანწყები, მიდიები და ლოკოკინები):						
	<i>ა. ახალი, ნიჟარით/ნაჭუჭით/ჯავშანით</i>						

	ბ.ნიჟარის, ნაჭუჭის გარეშე, გადამუშავებული, დაკონსერვებული ან მომზადებული ნაჭუჭით/ნიჟარით/ჯავშანით: I. ზეთოვან არეში II. წყლიან არეში	X					X
06.03	ყველა ცხოველის, მათ შორის, ფრინველის და ნანადირევის ხორცი:						
	ა. ახალი, გაცივებული, დამარილებული, შებოლილი	X					X/4 (**)
	ბ. გადამუშავებული ხორცპროდუქტები (ლორი, სალიამი, ბეკონი, სოსისები და სხვ.) ან პასტის, კრემის სახით	X					X/4 (**)
	გ. ხორცის პროდუქტების მარინადი ზეთოვან არეში	X					X
06.04	დაკონსერვებული ხორცი:						
	ა. ცხიმოვან ან ზეთოვან არეში	X					X/3
	ბ. წყლიან არეში		X (*)		X		
06.05	მთლიანი კვერცხი, კვერცხის გული, კვერცხის ცილა:						
	ა. ფხვნილისებური, გამომშრალი ან გაყინული						X
	ბ. თხევადი ან დამზადებული				X		
07	რძის პროდუქტები						
07.01	ა. რძე და სასმელები რძის ფუძეზე, მოუხდელი, ნაწილობრივ გამომშრალი, მოხდილი ან ნაწილობრივ მოხდილი				X		
	ბ. რძის ფხვნილი, მათ შორის, ფორმულა ჩველი ბავშვებისთვის (მშრალი, მოუხდელი რძის ფუძეზე)						X
07.02	ფერმენტირებული რძე, როგორებიცაა იოგურტი, დო (კეფირი) და მსგავსი პროდუქტები		X (*)			X	
07.03	ნაღები და არაჟანი		X (*)			X	
07.04	ყველი:						
	ა. მთლიანი, ქერქით, რომელიც სურსათად არ მოიხმარება						X

	<i>ბ. ბუნებრივი ყველი ქერქის გარეშე ან ქერქით, რომელიც სურსათად მოიხმარება (გაუდა, კამამბერი და მსგავსი პროდუქტები)</i>					X/3 (**)	
	<i>გ. გადამუშავებული ყველი (მდნარი ყველი, ხაჭოს ყველი და მსგავსი პროდუქტები)</i>		X (*)		X		
	<i>დ. დაკონსერვებული ყველი:</i>						
	<i>I. ზეთოვან არეში</i>	X					X
	<i>II. წყლიან არეში (ფეტა, მოცარელა და სხვ)</i>		X (*)		X		
08.	სხვადასხვა პროდუქტები						
08.01	ძმარი		X				
08.02	შემწვარი ან მოხალული სურსათი:						
	<i>ა. შეწვარი კარტოფილი, ფრიტერები და მსგავსი პროდუქტები</i>	X					X/5
	<i>ბ. ცხოველური წარმოშობის</i>	X					X/4
08.03	ნამზადი სუპებისთვის, ბულიონისთვის, სოუსებისთვის, თხევადი, მყარი ან ფხვნილისებური ფორმით (ექსტრაქტები, კონცენტრატები); ჰომოგენიზებული კომპოზიტი სურსათის წარმოებისათვის, მზა კერძები, საფუჯრისა და გამაფხვიერებლების ჩათვლით:						
	<i>ა. ფხვნილი ან გამომშრალი:</i>						
	<i>I. ცხიმოვანი</i>					X/5	
	<i>II. სხვა</i>						X
	<i>ბ. ნებისმიერი სხვა ფორმები გარდა ფხვნილისა და გამომშრალისა</i>						
	<i>I. ცხიმოვანი</i>	X	X (*)			X/3	
	<i>II. სხვა</i>		X (*)	X			
08.04	სოუსები:						
	<i>ა. წყლის (თხევადი) სახით</i>	X (*)	X				
	<i>ბ. ცხიმოვან, მაგ, მაიონეზი, მაიონეზზე დამზადებული სიუსები, სასალათო ნაღები</i>	X	X (*)			X	

	<i>და სხვა ცხიმი/წყალი ნარევი, მაგ. ქოქოსის ფუძეზე დამზადებული სოუსი</i>						
08.05	მდოგვი (გარდა 08.14 პუნქტით განსაზღვრულისა)	X	X (*)			X/3 (**)	
08.06	სენდვიჩები (ბუტერბროდები), პიცა გაცხელებული პურით და სხვა პროდუქტებით						
	<i>ა. ზედაპირზე ცხიმოვანი ნივთიერებებით</i>	X				X/5	
	<i>ბ. სხვა</i>						X
08.07	ნაყინი			X			
08.08	გამომწრალი (მწრალი) სურსათი:						
	<i>ა. ზედაპირზე ცხიმოვანი ნივთიერებებით</i>					X/5	
	<i>ბ. სხვა</i>						X
08.09	გაყინული და სწარფად (დრმად) გაყინული სურსათი						X
08.10	ალკოჰოლური სასმელის კონცენტრირებული ექსტრაქტები 6% ან მეტი მოცულობითი სპირტშემცველობით		X (*)		X		
08.11	კაკაო:						
	<i>ა. კაკაოს ფხვნილი, მათ შორის, შემცირებული და ძალიან შემცირებული ცხიმით</i>						X
	<i>ბ. კაკაოს პასტა</i>					X/3	
08.12	ყავა, მოხალული ან მოუხალავი, კოფეინის გარეშე ან ხსნადი, ყავის შემცველები (სუროგატები), გრანულირებული ან ფხვნილის სახით						X
08.13	არომატული ბალახები და სხვა ბალახოვანი მცენარეები, როგორებიცაა, გვირილა, ტუხტი, პიტნა, ჩაი, ლაიმის ყვავილები და სხვ.						X
08.14.	სუნელ-სანელებლები ბუნებრივი სახით, როგორებიცაა, მიხაკი, დარიჩინი, ფხვნილისებური მდოგვი, წიწაკა, ვანილი, ზაფრანა, მარილი და სხვ.						X
08.15	სუნელები და სანელებლები ცხიმთან არეში, როგორიცაა, პესტო, კარი (ცხარე საწებელი)					X	

შენიშვნები:

- სურსათის იმიტატორი, რომლისთვისაც მესამე სვეტის შესაბამის ქვესვეტში გვხვდება აღნიშვნა – „X“, გამოყენებულ უნდა იქნეს იმ მასალებისა და ნაკეთობების (საგნები) მიგრაციის გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის, რომლებიც ჯერ არ არიან სურსათთან შეხებაში.
- სურსათის კატეგორიებისათვის, სადაც D2 და E ქვესვეტებში შესაბამის აღნიშვნას თან ახლავს დახრილი ხაზი და ციფრი, მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგი გაყოფილი უნდა იქნეს ამ ციფრზე. შემდეგ, შესაბამისობის დადგენისათვის, გამოკვლევის/ტესტირების კორექტირებული პასუხი შედარებული უნდა იქნეს მიგრაციის ზღვართან. ამ მეთოდით არ უნდა მოხდეს იმ ნივთიერებების ტესტირების შედეგების კორექტირება, რომლებიც არ უნდა მიგრირებდნენ/გადადიოდნენ სურსათში;
- 01.04 სურსათის კატეგორიისათვის, სურსათის იმოტატორი D2 ჩანაცვლებული უნდა იქნეს 95% ეთანოლით;
- სურსათის კატეგორიებისთვის, სადაც B ქვესვეტში „X“ აღნიშვნას თან ახლავს (*), დასაშვებია გამოკვლევა/ტესტირება არ იქნეს ჩატარებული, თუ ამ სურსათის pH აღემატება 4,5-ს;
- სურსათის კატეგორიებისთვის, სადაც D2 ქვესვეტში „X“ აღნიშვნას თან ახლავს (**), დასაშვებია გამოკვლევა/ტესტირება არ იქნეს ჩატარებული, თუ შესაძლებელია ნაჩვენები იქნეს, რომ არ არის „ცხიმოვანი კონტაქტი“ პლასტმასთან, რომელიც შეხებაშია სურსათთან.

ნაწილი 4. სურსათის იმიტატორების განსაზღვრა სრული მიგრაციის ზღვარის (OML) გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის

სურსათის იმიტატორები, სურსათში საერთო მიგრაციის ზღვართან შესაბამისობის გამოკვლევისთვის/ტესტირებისათვის, შერჩეული უნდა იქნეს ცხრილი №8-ის – „სურსათის იმიტატორები, სურსათში სრული მიგრაციის ზღვართან შესაბამისობის გამოკვლევისთვის/ტესტირებისათვის“ შესაბამისად.

ცხრილი №8

სურსათის იმიტატორები, სურსათში სრული მიგრაციის ზღვართან შესაბამისობის გამოკვლევისთვის/ტესტირებისათვის

სურსათი	სურსათის იმიტატორები, რომლებშიც უნდა ჩატარდეს გამოკვლევა/ტესტირება
ყველა ტიპის სურსათი	დისტილირებული წყალი ან ეკვივალენტური ხარისხის წყალი ან სურსათის იმიტატორი A
	სურსათის იმიტატორი B და
	სურსათის იმიტატორი D2

ყველა ტიპის სურსათი, გარდა მჟავე სურსათისა	დისტილირებული წყალი ან ეკვივალენტური ხარისხის წყალი ან სურსათის იმიტატორი A და სურსათის იმიტატორი D2
ყველა წყლიანი და ალკოჰოლიანი სურსათი და რძის პროდუქტები, რომელთა $pH < 4,5$, რომელთა $pH \geq 4,5$	სურსათის იმიტატორი D1
ყველა წყლიანი და ალკოჰოლიანი სურსათი და რძის პროდუქტები, რომელთა $pH < 4,5$	სურსათის იმიტატორი D1 და სურსათის იმიტატორი B
ყველა წყლიანი და ალკოჰოლური სურსათი 20%-მდე მოცულობითი სპირტშემცველობით	სურსათის იმიტატორი C
ყველა წყლიანი და მჟავე სურსათი და ალკოჰოლური სურსათი 20%-მდე მოცულობითი სპირტშემცველობით	სურსათის იმიტატორი C და სურსათის იმიტატორი B

ნაწილი 5. ზოგადი გამონაკლისები სურსათის იმიტატორებთან დაკავშირებით

ა) ამ დანართის მე-2-მე-4 ნაწილებით განსაზღვრული მოთხოვნების მიუხედავად, თუ საჭიროა სურსათის რამდენიმე იმიტატორის გამოკვლევა/ტესტირება, საკმარისია ერთი სურსათის იმიტატორის გამოკვლევა/ტესტირება, თუ საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით მიღებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სურსათის ეს იმიტატორი არის ყველაზე აგრესიული (ძლიერი) კონკრეტული მასალის ან ნაკეთობისათვის (საგნის), რომლის გამოკვლევა/ტესტირება ხორციელდება დროისა და ტემპერატურის შესაბამის პირობებში, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5-ის – შესაბამისობის გამოკვლევა/ტესტირება“ ნაწილი 2-ით და ნაწილი 3-ით განსაზღვრული მოთხოვნების გამოყენებით.

ბ) სამეცნიერო მტკიცებულებები, რომლებზედაც „ა“ პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისები ვრცელდება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4-მე-5 პუნქტებით დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი №4

შესაბამისობის დეკლარაცია

ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი, მე-2-მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, რომელიც გასცემს შესაბამისობის დეკლარაციას;

ბ) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, რომელიც აწარმოებს ან განახორციელებს პლასტმასის მასალების ან ნაკეთობების (საგნები) იმპორტს, ან მათი წარმოების შუალედური ეტაპის პროდუქტებს ან ნივთიერებებს, რომლებიც განკუთვნილია ამ მასალისა ნაკეთობების (საგნების) და წარმოებისათვის;

გ) მასალების, ნაკეთობების (საგნების), მათი წარმოების შუალედური ეტაპის პროდუქტების ან ნივთიერებების დასახელება, რომლებიც განკუთვნილია ამ მასალისა ნაკეთობების (საგნების) და წარმოებისათვის;

დ) დეკლარაციის თარიღი;

ე) დადასტურება, რომ პლასტმასის მასალები ან ნაკეთობები (საგნები), მათი წარმოების შუალედური ეტაპის პროდუქტები ან ნივთიერებები, აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური რეგლამენტისა და „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-10 და მე-12 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ვ) სათანადო ინფორმაცია ნივთიერებებთან, ან მათი დაშლის პროდუქტებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1 და დანართი №2-ით განსაზღვრულია შეზღუდვები და/ან სპეციფიკაციები, რათა ბიზნესოპერატორებმა უზრუნველყონ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ზ) შუალედურ ეტაპთან დაკავშირებით „ვ“ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ერთ-ერთს, შუალედურ პროდუქტში იმ ნივთიერებების იდენტიფიკაციას და რაოდენობას:

ზ.ა) რომელზედაც ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №2-ით განსაზღვრული შეზღუდვები;

ზ.ბ) რომლისთვისაც გენოტოქსიკურობა არ არის გამორიცხული, რომელიც წარმოიქმნება წარმოების ეტაპზე შუალედური პროდუქტის მიზანმიმართული გამოყენებისას და რომელიც შესაძლოა არსებობდეს იმ მოსალოდნელი რაოდენობით, რაც გაზრდის საბოლოო მასალიდან მიგრაციას და სურსათში ან სურსათის იმიტატორში მიგრაცია გადააჭარბებს 0,00015 მგ/კგ-ს;

თ) სათანადო ინფორმაცია იმ ნივთიერებებისათვის, რომლებიც სურსათში ექვემდებარებიან შეზღუდვებს და ეს ინფორმაცია ამ ნივთიერებების კონკრეტული მიგრაციის ზღვართან დაკავშირებით, მიღებულია ექსპერიმენტული მონაცემებით ან თეორიული გამოთვლებით, და საჭიროების შემთხვევაში, სურსათის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად, ინფორმაცია ნივთიერებების სისუფთავის შესახებ;

ი) სპეციფიკაციები მასალების ან ნაკეთობების გამოყენებისათვის, მათ შორის:

ი.ა) სურსათის ტიპი (სახეობა) ან ტიპები (სახეობები), რომელთან შეხებისათვის განკუთვნილია;

ი.ბ) შესაბამის სურსათთან შეხებისას დამუშავების დრო, ტემპერატურა და შენახვის ხანგძლივობა;

ი.გ) სურსათთან ყველაზე დიდი შეხების ზედაპირის შეფარდება მოცულობასთან, რომლისთვისაც შესაბამისობა დადგენილია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14 და მე-15 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ან ეკვივალენტური ინფორმაცია;

თ) როდესაც მრავალმრიან მასალაში ან ნაკეთობაში (საგანი) გამოიყენება ფუნქციონალური ბარიერი, დადასტურება იმისა, რომ მასალა ან ნაკეთობა (საგანი) შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით და მე-12 მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დანართი №5

შესაბამისობის გამოკვლევა/ტესტირება

სურსათთან შეხებაში მყოფი პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნები) მიგრაციის შესაბამისობის შემოწმებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ამ დანართით განსაზღვრული წესები.

ნაწილი 1. სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება მასალებიდან და ნაკეთობებიდან (საგნებიდან), რომლებიც უკვე შეხებაში არიან სურსათთან

ა) ნიმუშის მომზადება

მასალა და ნაკეთობა (საგანი) შენახული უნდა იქნეს შეფუთვის ეტიკეტზე მითითებულ პირობებში ან, თუ ინსტრუქცია არ არის მოცემული, შეფუთული სურსათის შენახვისათვის შესაბამის პირობებში. სურსათი ამოღებული (გახსნილი, მოხსნილი) უნდა იქნეს შესაფუთი მასალიდან ან ნაკეთობიდან (საგნიდან) მისი ვადის გასვლის თარიღამდე ან ნებისმიერ იმ თარიღამდე, რომელიც მითითებული იქნა ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფისათვის;

ბ) გამოკვლევის/ტესტირების პირობები

თუ სურსათი დამუშავებული უნდა იქნეს შეფუთვაში, მისი დამუშავება უნდა მოხდეს შეფუთვაზე მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად. სურსათის ის ნაწილები, რომლებიც სურსათად არ გამოიყენება, უნდა იქნეს მოცილებული და გადაყრილი. დარჩენილი ნაწილის ერთგვაროვნებისთვის, უნდა მოხდეს მისი ჰომოგენიზაცია და ჩატარდეს ანალიზი მიგრაციაზე. ანალიზის შედეგები ყოველთვის გამოხატული უნდა იქნეს იმ სურსათის მასის საფუძველზე, რომელიც შეხებაშია სურსათთან და განკუთვნილია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის;

გ) მიგრირებადი ნივთიერებების ანალიზი

სპეციფიკური მიგრაციის ანალიზი ხორციელდება ამ ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

დ) სხვა წყაროებიდან წარმოშობილი ნივთიერებების გათვალისწინება

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულება, რომ სურსათის ნიმუშში, რომელსაც ჩაუტარდა გამოკვლევა/ტესტირება, ნივთიერებები სრულად ან ნაწილობრივ არ მომდინარეობს მხოლოდ სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებიდან ან ნაკეთობებიდან (საგნები) და არსებობს სხვა წყაროდან ან წყაროებიდან წარმოშობილი ნივთიერებებიც, სპეციფიკური მიგრაციის ზღვარის დადგენამდე, გამოკვლევის/ტესტირების პასუხები კორექტირებული უნდა იქნეს ამ ნივთიერებ (ებ) ის რაოდენობის გათვალისწინებით.

ნაწილი 2. სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან, რომლებიც ჯერ არ არიან შეხებაში სურსათთან

ა) შემოწმების მეთოდი

მიგრაციის შესაბამისობის შემოწმება სურსათში მიგრაციის ზღვართან განხორციელებული უნდა იქნეს ტემპერატურისა და დროის ყველაზე ექსტრემალურ პირობებში მოსალოდნელი გამოყენებისას, ამ დანართის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და მე-2 ნაწილის „ა.ა“, „ა.ვ“ და „ა.ზ“ პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო სურსათის იმიტატორებში მიგრაციის შესაბამისობის შემოწმება მიგრაციის ზღვართან განხორციელებული უნდა იქნეს სტანდარტული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების გამოყენებით, ამ დანართის მე-2 ნაწილის „ა.ა-ა.ზ“ პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ა.ა) ნიმუშის მომზადება;

ა.ა.ა) მასალა ან ნაკეთობა (საგანი) გამოყენებული უნდა იქნეს თანმხლები ინსტრუქციების ან შესაბამისობის დეკლარაციით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად;

ა.ა.ბ) მიგრაცია განისაზღვრება მასალის ან ნაკეთობის (საგანი) მიხედვით ან, თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მიგრაცია განისაზღვრება ნიმუშში, რომელიც აღებულია მასალიდან ან ნაკეთობიდან (საგანიდან) ან ნიმუშში, რომელიც ამ მასალის ან ნაკეთობის (საგანი) რეპრეზენტატიულია. სურსათის ცალკეული იმიტატორისათვის ან სურსათის ცალკეული ტიპისათვის, გამოკვლევისათვის/ტესტირებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ახალი ნიმუში. მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც ექსპლოატაციის რეალურ პირობებში განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის, გამოიყენება სურსათთან ან სურსათის იმიტატორთან შეხებისათვის;

ა.ბ) სურსათის იმიტატორის შერჩევა

ა.ბ.ა) მასალები ან ნაკეთობები (საგნები), რომლებიც გამიზნულია ყველა ტიპის სურსათთან შეხებისათვის, გამოკვლეული უნდა იქნეს A, B და D2 სურსათის იმიტატორებით. თუმცა, თუ არიან ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელია რეაქციაში შევიდნენ მჟავე რეაქციის მქონე სურსათის იმიტატორთან ან სურსათთან, გამოკვლევა/ტესტირება B სურსათის იმიტატორით, შესაძლებელია არ იქნეს განხორციელებული;

ა.ბ.ბ) მასალები ან ნაკეთობები (საგნები), რომლებიც გამიზნულია მხოლოდ კონკრეტული ტიპის სურსათთან შეხებისათვის, გამოკვლეული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ით განსაზღვრული სურსათის იმიტატორებით, რომლებიც მოცემულია სურსათის სპეციფიკური კატეგორიების მიხედვით;

ა.გ) შეხების /კონტაქტის პირობები სურსათის იმიტატორების გამოყენებისას:

ა.გ.ა) ნიმუში შეხებაში უნდა იქნეს სურსათის იმიტატორთან ისე, რომ წარმოდგენილ იქნეს ყველაზე ცუდი მოსალოდნელი პირობები, სურსათთან შეხების დროსთან დაკავშირებით – ცხრილი №9-ის „გამოკვლევის/ტესტირების ხანგრძლივობის შერჩევა“, ხოლო შეხების ტემპერატურასთან დაკავშირებით – ცხრილი №10 – „შეხების/კონტაქტის ტემპერატურის შერჩევა“ განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა.გ.ა.ა) იმ შემთხვევაში, თუ №9 და №10 ცხრილების კომბინაციით განსაზღვრული პირობებში გამოკვლევა/ტესტირება იწვევს ნიმუშის ფიზიკურ ან სხვა სახის ცვლილებებს, რომლებიც არ წარმოიქმნება ამ მასალების ან ნაკეთობების (საგნები) ყველაზე ცუდ მოსალოდნელ პირობებში გამოყენებისას, მიგრაციის ტესტები უნდა ჩატარდეს გამოყენების ყველაზე ცუდ, უარეს მოსალოდნელ პირობებში, როდესაც არ მოხდება ნიმუშის ფიზიკური ან სხვა სახის ცვლილებები;

ა.გ.ა.ბ) იმ შემთხვევაში, თუ მასალები ან ნაკეთობები (საგნები), ექვემდებარება სურსათის ტექნოლოგიურ მოწყობილობებში, მხოლოდ ზუსტად კონტროლირებად დროსა და ტემპერატურის პირობებში გამოყენებას, როგორც სურსათის შეფუთვის ან ტექნოლოგიური მოწყობილობების ნაწილი, გამოკვლევა/ტესტირება შესაძლოა განხორციელდეს ყველაზე ცუდ მოსალოდნელ შეხების პირობებში, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სურსათის ამ მოწყობილობებში დამუშავებისას;

ა.გ.ა.გ) თუ მასალა ან ნაკეთობა (საგანი) განკუთვნილია მხოლოდ ცხლად შევსების პირობებში გამოყენებისათვის, ჩატარებული უნდა იქნეს მხოლოდ 70°C-ზე 2-საათიანი გამოკვლევა/ტესტირება, თუმცა, თუ მასალა ან ნაკეთობა (საგანი) გამოიყენება ასევე ოთახის ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე შესანახად, გამოკვლევისთვის/ტესტირებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ცხრილი №9 და ცხრილი №10, ან ამ დანართის მე-2 ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები, შენახვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით;

ა.გ.ა.დ) თუ პლასტმასის მასალები ან ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის, რომლის შესაბამისობაც უნდა შემოწმდეს, საბოლოო ეტაპზე ხდება ნაწილი სურსათის გადამამუშავებელი დანადგარისა ან მოწყობილობისა ან მისი ნაწილისა, მიგრაციის ტესტები შესაძლოა ჩატარდეს სპეციფიკური მიგრაციის განსაზღვრით სურსათში ან სურსათის იმიტატორში, რომელიც იწარმოება ან მუშავდება მთლიანი დანადგარის ან მოწყობილობის ან მათი ნაწილის მიერ, სადაც საჭიროა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით;

ა.გ.ა.დ.ა) სურსათი ან სურსათის იმიტატორი გადამუშავებულია სურსათის ტექნოლოგიური მოწყობილობი ან მისი ნაწილით, ყველაზე ცუდ მოსალოდნელ პირობებში, რომელიც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ტექნოლოგიური მოწყობილობის ან მისი ნაწილის ექსპლოატაციის ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას;

ა.გ.ა.დ.ბ) მიგრაცია იმ ნაწილებიდან, რომლებიც გამოიყენება შესანახად, როგორებიცაა რეზერვუარები, კონტეინერები, კაფსულები ან შუასადებები, რომლებიც, სურსათის გადამუშავებისას, წარმოადგენენ ტექნოლოგიური მოწყობილობის ნაწილს, განისაზღვრება მათი რეპრეზენტატიული გამოყენების პირობების მიხედვით, თუ მთლიანი ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოკვლევის/ტესტირების გამოყენებული პირობები სრულად ასახავს მათ გამოყენებას;

ა.გ.ბ) როდესაც მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება ხორციელდება ამ დანართის მე-2 ნაწილის „ა.გ.“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, და ტექნოლოგიური მოწყობილობებიდან ან ხელსაწყოებიდან კომპონენტების მიგრაცია სრულად არ აღემატება მიგრაციის დადგენილ ზღვარს, ტექნოლოგიური მოწყობილობების ან ხელსაწყოების პლასტმასის დეტალები, მიიჩნევა ან ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისად;

ა.გ.გ) შესანახად ან გასანაწილებლად გამოყენებული რეზერვუარების, კონტეინერების, კაფსულების ან შუასადებების ნაწილების გამოკვლევა/ტესტირება უნდა იყოს მათი გამოყენების რეპრეზენტატიული და უნდა მოიცავდეს მათი ნაწილებში სურსათის შენახვის მოსალოდნელ პირობებს;

ა.გ.დ) თანმხლები დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3-ე პუნქტებით, ნათლად უნდა ადასტურებდეს სურსათის დამუშავების და/ან სურსათის წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობების ან ხელსაწყო ან მათ ნაწილების გამოკვლევას/ტესტირებას. უნდა ადასტურებდეს ასევე, რომ გამოკვლევა/ტესტირება არის მათი რეპრეზენტატიული გამოყენების შესაბამისი და მიუთითებს, თუ რომელი ნივთიერებებისათვის განხორციელდა მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება და ასევე მოცემული უნდა იქნეს ყველა გამოკვლევის/ტესტირების შედეგი. ცალკეული პლასტმასის ნაწილების მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს იმ ნივთიერებების მიგრაციის არ არსებობა, რომლისთვისაც ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, განსაზღვრულია, რომ გამოვლენის სპეციფიკურ ზღვართან მიმართებაში, მათი მიგრაცია არ უნდა იქნეს გამოვლენილი;

ა.გ.ე) ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისობის დოკუმენტაციაში, რომელიც მიეწოდება ტექნოლოგიური მოწყობილობების ან ხელსაწყოების ან მათი ნაწილების საბოლოო მწარმოებელს, ჩამოთვლილი უნდა იქნეს ყველა ის ნივთიერება, რომლებზედაც ვრცელდება მიგრაციის შეზღუდვა და რომლებიც შესაძლოა გადაჭარბებულ იქნეს მიწოდებული ნაწილ (ებ) ის ან მასალ (ებ) ის გამოყენებისას;

ა.გ.ვ) იმ შემთხვევაში, თუ გამოკვლევის/ტესტირების შედეგი არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დადგენილი უნდა იქნეს, შეუსაბამობის წყარო არის თუ არა პლასტმასის ნაწილი, რომელიც რეგულირდება ამ ტექნიკური რეგლამენტით, თუ ნაწილი, რომელიც სხვა მასალისგანაა დამზადებული, დოკუმენტური მტკიცებულებების ან ანალიზური გამოკვლევის/ტესტირების საფუძველზე, არ განეკუთვნება ამ ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების სფეროს. ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობა დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიგრაცია ხორციელდება პლასტმასის ნაწილებიდან;

ა.გ.ზ) თუ მასალისა ან ნაკეთობის (საგნის) გამოკვლევის/ტესტირების პირობები რეპრეზენტატიულია ყველაზე უარესი მოსალოდნელი პირობებისთვის და ტექნიკურად შესასრულებლად არის ტექნიკურად შეუძლებელი სურსათის იმიტატორი D2-თვის, მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება/ უნდა განხორციელდეს 95% ეთანოლით და იზოოქტანით. გარდა ამისა, დამატებით მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა ჩატარდეს სურსათის იმიტატორის, E გამოყენებით, თუ ტემპერატურა, ყველაზე ცუდ მოსალოდნელ პირობებში აღემატება 100°C. ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასადგენად გამოიყენებული უნდა იქნეს ყველაზე მაღალი სპეციფიკური მიგრაციის ზღვარის სიდიდე.

ცხრილი №9

გამოკვლევის/ ტესტირების ხანგრძლივობის შერჩევა

შეხების ხანგრძლივობა, ყველაზე უარეს, მოსალოდნელ პირობებში გამოყენებისას	გამოკვლევის/ტესტირების ხანგრძლივობა/დრო
$t \leq 5$ წთ	5 წთ
$5 \text{ წთ} < t \leq 0,5$ საათი	0,5 საათი
$0,5 \text{ საათი} < t \leq 1$ საათი	1 საათი
$1 \text{ საათი} < t \leq 2$ საათი	2 საათი
$2 \text{ საათი} < t \leq 6$ საათი	6 საათი
$6 \text{ საათი} < t \leq 24$ საათი	24 საათი
$1 \text{ დღე} < t \leq 3$ დღე	3 დღე
$3 \text{ დღე} < t \leq 30$ დღე	10 დღე
30 დღეზე მეტი	იხ. გამოყენების სპეციფიკური პირობები

შეხების ტემპერატურის შერჩევა

შეხების ტემპერატურა, ყველაზე უარეს, მოსალოდნელ პირობებში გამოყენებისას	გამოკვლევის/ტესტირების შერჩეული შეხების ტემპერატურა
$T \leq 5^{\circ} C$	$5^{\circ} C$
$5^{\circ} C < T \leq 20^{\circ} C$	$20^{\circ} C$
$20^{\circ} C < T \leq 40^{\circ} C$	$40^{\circ} C$
$40^{\circ} C < T \leq 70^{\circ} C$	$70^{\circ} C$
$70^{\circ} C < T \leq 100^{\circ} C$	100° C ან რეფლუქსის ტემპერატურა
$100^{\circ} C < T \leq 121^{\circ} C$	121° C (*)
$121^{\circ} C < T \leq 130^{\circ} C$	130° C (*)
$130^{\circ} C < T \leq 150^{\circ} C$	150° C (*)
$150^{\circ} C < T < 175^{\circ} C$	175° C (*)
$175^{\circ} C < T \leq 200^{\circ} C$	200° C (*)
$T > 200^{\circ} C$	225° C (*)

(*) – ეს ტემპერატურა გამოიყენება მხოლოდ D2 და E სურსათის იმიტატორებისათვის. ნიმუშებისთვის, რომელთა გაცხელება ხდება წნევის ქვეშ, შესაძლებელია მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება ჩატარდეს წნევის ქვეშ რელევანტურ, შესაბამის ტემპერატურაზე. A, B, C ან D1 სურსათის იმიტატორებისათვის, ტესტი შესაძლებელია შეიცვალოს 100 °C ტემპერატურაზე ტესტირებით ან რეფლუქსის ტემპერატურაზე, ცხრილი N9-ის პირობების მიხედვით, ოთხჯერ მეტი ხანგრძლივობით.

ა.დ) განსაკუთრებული პირობები 30 დღეზე მეტი შეხების/კონტაქტის დროს, ოთახის ტემპერატურაზე და უფრო დაბალ ტემპერატურაზე გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ოთახის ტემპერატურაზე და უფრო დაბალ ტემპერატურაზე 30 დღეზე მეტი (გრძლევადიანი) შეხების/კონტაქტის დროს, ნიმუში გამოკვლეული/ტესტირებული უნდა იქნეს

დაჩქარებული გამოკვლევის/ტესტირების პირობებში, მომატებულ, 60°C ტემპერატურაზე არაუმეტეს 10 დღის განმავლობაში. ამასთანავე, ამ დაჩქარებულ პირობებში გამოკვლევისას/ტესტირებისას, საანალიზო ნიმუში არ უნდა დაექვემდებაროს არანაირ ზემოქმედებას, გამოყენების რეალურ პირობებთან შედარებით, არ უნდა განიცადოს ფიზიკური ან სხვა სახის ცვლილებები, მათ შორის მასალის მიგრაციის ფაზაში. დაჩქარებულ პირობებში:

ა.დ.ა) გამოკვლევა/ტესტირება 20°C ტემპერატურაზე 10 დღის განმავლობაში, უნდა მოიცავდეს გაყინულ მდგომარეობაში შენახვის მთელ პერიოდს. ეს გამოკვლევა/ტესტირება შეიძლება მოიცავდეს გაყინვის და გაღობის პროცესებს, თუ ეტიკეტზე ან სხვა ინსტრუქციებით განსაზღვრულია, რომ ტემპერატურა არ აღემატება 20°C და ამასთანავე, მასალის ან ნაკეთობის (საგნის) მოსალოდნელი გამოყენებისას -15°C-ზე მეტ ტემპერატურაზე, საერთო დრო არ აღემატება 1 დღეს;

ა.დ.ბ) გამოკვლევა/ტესტირება 40°C ტემპერატურაზე 10 დღის განმავლობაში, უნდა მოიცავდეს გაცივებულ და გაყინულ მდგომარეობაში შენახვის სრულ პერიოდს, მათ შორის ცხლად შევსებას და /ან გაცხელებას 70°C ≤ T ≤ 100°C -ტემპერატურის პირობებში, მაქსიმალური $t = 120/2^{((T-70)/10)}$ წთ-თვის;

ა.დ.გ) გამოკვლევა/ტესტირება 50°C ტემპერატურაზე 10 დღის განმავლობაში, უნდა მოიცავდეს ოთახის ტემპერატურაზე 6 თვის განმავლობაში შენახვის ნებისმიერ პერიოდს, მათ შორის ცხლად შევსებას და /ან გაცხელებას 70°C ≤ T ≤ 100°C – ტემპერატურის პირობებში, მაქსიმალური $t = 120/2^{((T-70)/10)}$ წთ-თვის;

ა.დ.დ) გამოკვლევა/ტესტირება 60°C ტემპერატურაზე 10 დღის განმავლობაში, უნდა მოიცავდეს ოთახის ტემპერატურაზე და უფრო დაბალ ტემპერატურაზე 6 თვეზე მეტ ვადის განმავლობაში შენახვის პერიოდს, მათ შორის ცხლად შევსებას და /ან გაცხელებას 70°C ≤ T ≤ 100°C – ტემპერატურის პირობებში, მაქსიმალური $t = 120/2^{((T-70)/10)}$ წთ-თვის;

ა.დ.ე) გამოკვლევის/ტესტირების პირობები, ოთახის ტემპერატურაზე შენახვისას, შესაძლებელია შემცირდეს 10 დღემდე 40°C ტემპერატურაზე, თუ სამეცნიერო მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ გამოკვლევის/ ტესტირების ამ პირობებში, პოლიმერში, შესაბამისი ნივთიერების მიგრაციამ, მიაღწია წონასწორობას;

ა.დ.ვ) მიზნობრივი გამოყენების ყველაზე ცუდი მოსალოდნელი პირობებისთვის, რომელიც არ არის განსაზღვრული „ა.დ.ა – ა.დ.ე“ ქვეპუნქტებით, გამოკვლევის/ტესტირების დრო და ტემპერატურის პირობები უნდა განისაზღვროს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$t_2 = t_1 * \text{Exp} (9627 * (1/T_2 - 1/T_1)),$$

სადაც,

t1 – შეხების დრო/ხანგრძლივობა

t2 – გამოკვლევის/ტესტირების დრო (ხანგრძლივობა)

T1 – შეხების/კონტაქტის ტემპერატურა გამოსახული კელვინის გრადუსებში. ოთახის ტემპერატურაზე შენახვისას, T1 დადგენილია 298K (25°C)-ზე, გაცივებულ პირობებში შენახვისათვის – 278K (5°C) - ზე, გაყინვისათვის 258 K (- 15°C)-ზე;

T2 – გამოკვლევის/ტესტირების ტემპერატურა, გამოსახული კელვინის გრადუსებში.

ა.ე) შეხების/კონტაქტის სპეციალური პირობები დროისა და ტემპერატურის კომბინაციებისათვის გულისხმობს, რომ:

ა.ე.ა) თუ მასალა ან ნაკეთობა (საგანი) განკუთვნილია სხვადასხვა გამოყენებისათვის, რომელიც მოიცავს შეხების/კონტაქტის დროისა და ტემპერატურის სხვადასხვა კომბინაციებს, გამოკვლევა/ტესტირება შემოიფარგლება იმ პირობებით, რომელიც სამეცნიერო მტკიცებულებების საფუძველზე აღიარებულია, როგორც ყველაზე მკაცრი;

ა.ე.ბ) თუ მასალა ან ნაკეთობა (საგანი), რომელიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის, თანმიმდევრულად ექვემდებარება ორი ან მეტი დროისა და ტემპერატურის კომბინაციას, მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა ჩატარდეს თანმიმდევრულად, ნიმუშის ყველაზე უარეს მოსალოდნელ პირობებში გამოყენებისას, იმავე რაოდენობით სურსათის იმიტატორის გამოყენებით.

ა.ვ) მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მრავალჯერადი გამოყენება უნდა განხორციელდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა.ვ.ა) თუ მასალები ან ნაკეთობები (საგნები) განკუთვნილია სურსათთან მრავალჯერადი შეხებისათვის (მრავალჯერადი გამოყენება), მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა ჩატარდეს ერთი და იმავე ნიმუშზე სამჯერ, თითოეულ შემთხვევაში სურსათის იმიტატორის მორიგი რაოდენობის/მოცულობის გამოყენებით. მეორე გამოკვლევისას/ტესტირებისას სპეციფიკური მიგრაციის შედეგი არ უნდა აღემატებოდეს პირველი გამოკვლევის/ტესტირებისას მიღებულ შედეგს, ხოლო მესამე გამოკვლევისას/ტესტირებისას სპეციფიკური მიგრაციის შედეგი არ უნდა აღემატებოდეს მეორე გამოკვლევისას/ტესტირებისას მიღებულ შედეგს;

ა.ვ.ბ) მასალის ან ნაკეთობის (საგნის) შესაბამისობა შემოწმებული უნდა იქნეს მესამე გამოკვლევის/ტესტირების მიგრაციის დონის და მასალის ან ნაკეთობის (საგნის) სამივე გამოკვლევის/ტესტირების სტაბილურობის/მდგრადობის საფუძველზე. მასალის ან ნაკეთობის (საგნის) სტაბილურობა/მდგრადობა ითვლება არასაკმარისად, თუ მიგრაციის სამი გამოკვლევიდან/ტესტირებიდან ერთი შედეგი მაინც არის ზღვარს ზემოთ და მიგრაციის დონე იზრდება პირველი მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგიდან მესამე გამოკვლევის/ტესტირების შედეგამდე. მასალის ან ნაკეთობის (საგნის) არასაკმარისი სტაბილურობის/მდგრადობის შემთხვევაში, მასალის შესაბამისობა არ უნდა იქნეს დადგენილი იმ

შემთხვევაშიც კი, თუ სპეციფიკური მიგრაციის ზღვარი არ აღემატება სამი გამოკვლევის/ტესტირების შედეგიდან არცერთს;

ა.ვ.გ) თუ არსებობს სარწმუნო სამეცნიერო მტკიცებულება, რომ მიგრაციის დონე მცირდება მიგრაციის მეორე და მესამე გამოკვლევისას/ტესტირებისას და თუ მიგრაციის პირველი გამოკვლევის/ტესტირების ზღვრები არ არის გადაჭარბებული, შემდგომი გამოკვლევის/ტესტირების ჩატარება არ არის საჭირო;

ა.ვ.დ) ამ პუნქტის „ა.ვ.ა – ა.ვ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების მიუხედავად, მასალა ან ნაკეთობა (საგანი) არასოდეს არ უნდა ჩაითვალოს ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაში, თუ პირველი გამოკვლევის/ ტესტირებისას აღმოჩენილია ნივთიერება, რომლის მიგრაცია ან გამოთავისუფლება, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 – 4-ე პუნქტებით განსაზღვრული რაოდენობით, აკრძალულია.

ა.ზ) მიგრირებადი ნივთიერებების ანალიზისას შეხებისათვის/კონტაქტისათვის დადგენილი ხანგრძლივობის/დროის დასასრულს, სურსათში ან სურსათის იმიტატორში, სპეციფიკური მიგრაციის ანალიზი უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ა.თ) ნარჩენი რაოდენობის შემცველობის შესაბამისობის შემოწმება ზედაპირის ფართობზე, რომელიც შეხებაშია სურსათთან (QMA), იმ ნივთიერებებისათვის, რომლებიც არასტაბილურია სურსათში ან სურსათის იმიტატორში, ან რომელთათვისაც არ არის ხელმისაწვდომი ადექვატური/ შესაბამისი ანალიზის მეთოდი, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ის მიხედვით, მიხედვით შესაბამისობის შემოწმება ხორციელდება ნარჩენების შემცველობაზე შეხების ზედაპირის ყოველ 6 დმ². 500 მლ-დან 10 ლიტრამდე მოცულობის მასალებსა და ნაკეთობებზე (საგნებზე) შესაბამისობის შემოწმება ხორციელდება შეხების რეალური ზედაპირის მიხედვით. იმ მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნები) რომელთა მოცულობა 500 მლ-ზე ნაკლებია და 10 ლ-ზე მეტია და ასევე იმ ნაკეთობებისთვის (საგნები), რომელთათვისაც პრაქტიკულად შეუძლებელია რეალური შეხების ზედაპირის გამოთვლა, ნარჩენი რაოდენობის შემცველობის შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს სურსათის ყოველ კგ-ზე 6 დმ² ზედაპირის ფართობზე;

ბ) სკრინინგის მდგომარეობა

ნებისმიერი მეთოდი, რომელიც ითვლება უფრო მგრძობიარედ, ვიდრე ამ დანართის ნაწილი 2-ის „ა“ პუნქტით განსაზღვრული გამოკვლევის/ტესტირების მეთოდები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასალის ან ნაკეთობის (საგნის) მიგრაციის ზღვართან შესაბამისობის შესამოწმებლად, შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:

ბ.ა) სპეციფიკური მიგრაციის ჩანაცვლება სრული მიგრაციით – დასაშვებია იმ პირობით, თუ არააქროლადი ნივთიერებების სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევისათვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სრული მიგრაციის განსაზღვრა გამოკვლევის/ტესტირების ისეთ პირობებში,

რომლებიც სულ მცირე ისეთივე მგრძობიარეა, როგორც სპეციფიკური მიგრაციის განსაზღვრის პირობები;

ბ.ბ) ნარჩენების შემცველობა – სპეციფიკური მიგრაციის გამოვლენისათვის, შეიძლება გამოთვლილი იქნეს მიგრაციის პოტენციალი, მასალასა ან ნაკეთობაში (საგანი) ნივთიერების ნარჩენების შემცველობით, სრული მიგრაციის დაშვებით;

ბ.გ) მიგრაციის მოდელირება – სპეციფიკური მიგრაციის გამოვლენისათვის, შეიძლება გამოთვლილი იქნეს მიგრაციის პოტენციალი, მასალასა ან ნაკეთობაში (საგანი) ნივთიერების ნარჩენების შემცველობით, სამეცნიერო მტკიცებულებებზე დამყარებული დიფუზიის აღიარებული მოდელის გამოყენებით, და რომლებიც არ აღემატება მიგრაციის რეალურ დონეს;

ბ.დ) სურსათის იმიტატორების შემცველები – სპეციფიკური მიგრაციის გამოკვლევისათვის სურსათის იმიტატორები შეიძლება ჩანაცვლდეს სურსათის იმიტატორების შემცველებით, თუ არსებობს სამეცნიერო მტკიცებულებები, რომ სურსათის იმიტატორების შემცველები იძლევიან მიგრაციის სულ მცირე იგივე, ან უფრო მაღალ მნიშვნელობას, ვიდრე ამ ტექნიკური რეგლამენტის ამ დანართის ნაწილი 2-ის „ა“ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათის იმიტატორები;

ბ.ე) ერთჯერადი გამოკვლევა/ტესტირება დროისა და ტემპერატურის თანმიმდევრული კომბინაციებისათვის – მასალა ან ნაკეთობა (საგანი), რომელიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის ექვემდებარება დროისა და ტემპერატურის ორ ან მეტ კომბინაციას, მიგრაციის ერთჯერადი კონტაქტის დრო შესაძლოა განისაზღვროს კონტაქტის გამოკვლევის/ტესტირების უმაღლესი ტემპერატურის საფუძველზე ამ დანართის ნაწილი 2-ის „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის და/ან „ა.დ“ ქვეპუნქტის „ა.დ.ვ“ -ით განსაზღვრული ფორმულის გამოყენებით. დასაბუთება იმისა, რომ ერთჯერადი გამოკვლევის/ტესტირების შედეგები სულ მცირე ისეთივე მკაცრია, როგორც კომბინირებული დროისა და ტემპერატურის კომბინაციები, წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლი მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ თანდართულ დოკუმენტაციაში.

ნაწილი 3. სრული მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება

სრული მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა ჩატარდეს ამ ნაწილით განსაზღვრული სტანდარტული გამოკვლევის/ტესტირების პირობებში, შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) სტანდარტული გამოკვლევის/ტესტირების პირობები ითვალისწინებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) სრული მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება მასალებისა და ნაკეთობებისათვის (საგნები), რომლებიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის პირობებში, რომელიც განსაზღვრულია ცხრილი №11-ის „სრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების სტანდარტული პირობების“ მე-3 სვეტით, უნდა ჩატარდეს ამავე ცხრილის მე-2 სვეტით განსაზღვრული ტემპერატურისა და

შეხების/კონტაქტის ხანგრძლივობით. OM5-ის გამოკვლევა/ტესტირება შეიძლება განხორციელდეს ან 2 საათის განმავლობაში 100°C ტემპერატურაზე (სურსათის იმიტატორი D2), ან რეფლუქსის ტემპერატურა (სურსათის იმიტატორები A, B, C, D1), ან ერთი საათის განმავლობაში 121°C ტემპერატურაზე. სურსათის იმიტატორი უნდა შეირჩეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №3-ის მიხედვით;

ა.ბ) თუ დადგენილი იქნა, რომ გამოკვლევა/ტესტირება ცხრილი №11-ით განსაზღვრულ კონტაქტის პირობებში იწვევს ნიმუშის ფიზიკურ ან სხვა სახის ცვლილებებს, რომლებიც არ წარმოიქმნება მასალების და ნაკეთობების (საგნების) ყველაზე უარეს პროგნოზირებად პირობებში გამოყენებისას, მიგრაციის გამოკვლევა უნდა განხორციელდეს მასალების და ნაკეთობების (საგნების) ყველაზე უარეს პროგნოზირებად პირობებში გამოყენებისას, რომელშიც ეს ფიზიკურ და სხვა სახის ცვლილებებს არ აქვს ადგილი.

ცხრილი №11

სრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების სტანდარტული პირობები

გამოკვლევის/ტესტირების ნომერი	შეხების/კონტაქტის ხანგრძლივობა, დღეებში (დღე) ან საათში (სთ) ტესტირებისას კონტაქტის დროს კონკრეტულ ტემპერატურაზე°C	სურსათთან შეხება /კონტაქტისთვის განკუთვნილი პირობები
(1)	(2)	(3)
OM0	30 წთ 40°C-ზე	ნებისმიერი შეხება სურსათთან დაბალ ტემპერატურაზე ან გარემოს ტემპერატურაზე ხანმოკლე დროით (≤ 30 წთ)
OM 1	10 დღე 20°C-ზე	ნებისმიერი შეხება სურსათთან გაყინულ ან გაცივებულ მდგომარეობაში შენახვისას
OM 2	10 დღე 40°C-ზე	ნებისმიერი ხანგრძლივი დროით შენახვა ოთახის ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე, მათ შორის ცხლად შევსებას და/ან გათბობას T ტემპერატურაზე, სადაც T არის $70^{\circ}\text{C} \leq T \leq 100^{\circ}\text{C}$, მაქსიმუმისთვის $- t = 120/2^{\wedge} ((T-70)/10)$ წთ
OM 3	2 სთ 70°C-ზე	სურსათთან შეხება/ კონტაქტის ნებისმიერი პირობები, რომელიც მოიცავს ცხელ შევსებას

		და/ან გათბობას T ტემპერატურამდე, სადაც $70^{\circ}\text{C} \leq T \leq 100^{\circ}\text{C}$ მაქსიმალური $t = 120 / 2^{\wedge} ((T-70) / 10)$ წუთი, რომელსაც არ მოჰყვება ოთახის ტემპერატურაზე ან მაცივარში ხანგრძლივი დროით შენახვა.
OM 4	1 სთ 100°C - ზე ან რეფლუქსზე	სურსათის ყველა ტიპისათვის გამოყენება მაღალ ტემპერატურაზე (100°C -მდე)
OM 5	2 სთ 100°C ან რეფლუქსზე ან ალტერნატიული 1 სთ 121°C -ზე	მაღალ, 121°C – მდე ტემპერატურაზე გამოყენება
OM 6	4 სთ 100°C - ზე ან რეფლუქსზე	სურსათთან 40°C -ზე მეტ ტემპერატურაზე შეხების/კონტაქტის ნებისმიერი პირობები, ასევე შეხება სურსათთან, რომლისთვისაც დანართი III-ის მე- 4-პუნქტით განსაზღვრულია სურსათის იმიტატორები A, B, C ან D1.
OM 7	2 სთ 175°C - ზე	მაღალ ტემპერატურაზე გამოყენება ცხიმიანი სურსათისათვის აღემატება OM5 პირობებს
<ul style="list-style-type: none"> - OM 7 გამოკვლევა/ტესტირება ვრცელდება ასევე სურსათთან შეხების/ კონტაქტის პირობებზე, რომლებიც აღწერილია OM0, OM1, OM2, OM3, OM4, OM5. იგი წარმოაჩენს ყველაზე არახელსაყრელ პირობებს ცხიმოვანი სურსათის იმიტატორებისათვის, სხვა პოლიმერებთან კონტაქტისას, ვიდრე პოლიოლეფინებთან. თუკი ტექნიკურად შეუძლებელია შესრულდეს OM 7, D2 სურსათის იმიტატორებით, გამოკვლევა/ტესტირება შესაძლოა ჩანაცვლდეს ამ დანართის მაწილი 3-ის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. - OM 6 გამოკვლევა/ტესტირება ვრცელდება ასევე სურსათთან შეხების/კონტაქტის პირობებზე, რომლებიც აღწერილია OM0, OM1, OM2, OM3, OM4 და OM5-თვის. ის წარმოაჩენს ყველაზე არახელსაყრელ პირობებს A, B და C, სურსათის იმიტატორების სხვა პოლიმერებთან შეხებისათვის, ვიდრე პოლიოლეფინებთან. - OM 5 გამოკვლევა/ტესტირება ვრცელდება ასევე სურსათთან შეხების/კონტაქტის პირობებზე, რომლებიც აღწერილია OM0, OM1, OM2, OM3, OM4-თვის. ის წარმოაჩენს ყველაზე არახელსაყრელ პირობებს ყველა სურსათის იმიტატორისათვის, რომლებიც კონტაქტში არიან პოლიოლეფინებთან. - OM 2 გამოკვლევა/ტესტირება ვრცელდება სურსათთან შეხების/კონტაქტის პირობებზე, რომლებიც აღწერილია OM0, OM1 და OM3-თვის. 		

ბ) სრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების ჩანაცვლება D2 სურსათის იმიტატორის ტესტირებით განსაზღვრულია ცხრილი №12-ით – „სრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების ჩანაცვლება D2 სურსათის იმიტატორის გამოკვლევით/ტესტირებით“, ამასთან:

ბ.ა) თუ ტექნიკურად შეუძლებელია ერთი ან მეტი გამოკვლევის/ტესტირების ჩატარება OM0-დან OM6-მდე D2 სურსათის იმიტატორით, მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა განხორციელდეს 95% ეთანოლის და იზოოქტანის გამოყენებით. გარდა ამისა, აუცილებელია გამოკვლევა/ტესტირება დამატებით განხორციელდეს E სურსათის იმიტატორის გამოყენებით, იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების ყველაზე ცუდი პროგნოზირებადი პირობები აღემატება 100°C ტემპერატურას. გამოკვლევა/ტესტირება, რომელიც ადგენს სრული მიგრაციის ყველაზე მაღალ მნიშვნელობას, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასადგენად;

ბ.ბ) თუ ტექნიკურად შეუძლებელია OM7-ს შესრულება D2 სურსათის იმიტატორით, გამოკვლევის/ტესტირებისთვის უნდა აირჩეს ყველაზე შესაფერისი OM8 ან OM9, როგორც ჩამნაცვლებელი გამოკვლევა/ტესტირება და უნდა შეირჩეს გამოკვლევა/ტესტირება, შესამოწმებელი მასალის ან ნივთის პროგნოზირებადი ან მოსალოდნელი გამოყენების მიხედვით. შემდგომში მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა ჩატარდეს ამ ორიდან თითოეული გამოკვლევის/ტესტირების პირობების გათვალისწინებით და თითოეულისათვის უნდა იქნეს გამოყენებული გამოკვლევის/ტესტირების ახალი ნიმუში. გამოკვლევა/ტესტირება, რომელიც ადგენს სრული მიგრაციის ყველაზე მაღალ მნიშვნელობას, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასადგენად.

ცხრილი №12

სრული მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების ჩანაცვლება D2 სურსათის იმიტატორის გამოკვლევით/ტესტირებით

გამოკვლევის/ტესტირების ნომერი	გამოკვლევის/ტესტირების პირობები	სურსათთან შეხების/კონტაქტის პირობები	სავარაუდო სურსათი, რომელსაც ეხება, შეხების/კონტაქტის პირობები აღწერილია ცხრილი №11-ის მიხედვით
OM 8	სურსათის იმიტატორი E, 2 საათის განმავლობაში 175°C-ზე და სურსათის იმიტატორი D2, 2 საათის განმავლობაში 100°C-ზე	გამოყენება მხოლოდ მაღალი ტემპერატურის პირობებში	OM1, OM3, OM4, OM5 და OM6
OM 9	სურსათის იმიტატორი E,	გამოყენება მხოლოდ მაღალი	OM1, OM2, OM3, OM4, OM5 და OM6

	2 საათის განმავლობაში 175°C- ზე და სურსათის იმიტატორი D2, 10 dRis განმავლობაში 40°C- ზე	ტემპერატურის პირობებში, მათ შორის ხანგრძლივი შენახვა ოთახის ტემპერატურაზე	
--	---	---	--

გ) შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

გ.ა) ერთჯერადი გამოყენების მასალების და ნაკეთობების (საგნების) შესაბამისობის შესამოწმებლად, შეხებისათვის/კონტაქტისთვის განსაზღვრული დროის დასასრულს, სურსათის იმიტატორში სრული მიგრაციის განსაზღვრა უნდა მოხდეს ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

გ.ბ) მრავალჯერადი გამოყენების მასალების და ნაკეთობების (საგნების) შესაბამისობის შემოწმება უნდა განხორციელდეს შემდეგი მოთხოვნების მიხედვით:

გ.ბ.ა) სრული მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება უნდა განხორციელდეს ერთი და იგივე ნიმუშზე სამჯერ, თითოეულ შემთხვევაში სურსათის იმიტატორის მორიგი რაოდენობის/მოცულობის გამოყენებით. მეორე გამოკვლევისას/ტესტირებისას სრული მიგრაციის შედეგი არ უნდა აღემატებოდეს პირველი გამოკვლევის/ტესტირებისას მიღებულ შედეგს, ხოლო მესამე გამოკვლევის/ტესტირებისას სრული მიგრაციის შედეგი არ უნდა აღემატებოდეს მეორე გამოკვლევის/ტესტირებისას მიღებულ შედეგს; სრული მიგრაციის ზღვრის შესაბამისობა უნდა შემოწმდეს მესამე გამოკვლევის/ტესტირების სრული მიგრაციის მაჩვენებლის მიხედვით;

გ.ბ.ბ) თუ ტექნიკურად შეუძლებელია ერთი და იმავე ნიმუშზე გამოკვლევის/ტესტირების 3-ჯერ ჩატარება, მაგალითაად, გამოკვლევა/ტესტირება მცენარეულ ცხიმში, სრული მიგრაციის გამოკვლევა/ტესტირება შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ნიმუშებზე სამი სხვადასხვა დროის განმავლობაში, რომელიც ერთჯერ, ორჯერ და სამჯერ აღემატება შეხების/კონტაქტის გამოკვლევის დროს. მესამე და მეორე გამოკვლევის/ტესტირების შედეგების სხვაობა უნდა ჩაითვალოს როგორც სრული მიგრაციის მაჩვენებელი. შესაბამისობის შემოწმება უნდა მოხდეს ამ სხვაობის საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სრული მიგრაციის ზღვარს. ასევე, მეორე და პირველი გამოკვლევის/ტესტირების შედეგებს შორის სხვაობა უნდა იყოს ნაკლები პირველი გამოკვლევის/ტესტირების შედეგებზე, და სხვაობა მესამე და მეორე გამოკვლევის/ტესტირების შედეგებს შორის უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე სხვაობა მეორე და პირველ გამოკვლევისას/ტესტირების შედეგებს შორის;

გ.ბ.გ) თუ სამეცნიერო მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ გამოსაკვლევი მასალისა და ნაკეთობის (საგნის) სრული მიგრაცია კლებულობს მეორე და მესამე გამოკვლევისას/ტესტირებისას და ამასთანავე, სრული მიგრაციის ზღვარი არ აღემატება პირველი გამოკვლევისას/ტესტირებისას მიღებულ შედეგს, საკმარისი იქნება მხოლოდ პირველი გამოკვლევის/ტესტირების ჩატარება;

დ) სკრინინგის მიდგომები – იმის შესამოწმებლად, შეესაბამება თუ არა მასალები ან ნაკეთობები (საგნები) მიგრაციის ზღვრებს, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდები, რომლებიც მიიჩნევა უფრო მკაცრ მეთოდებად, ვიდრე ამ დანართის ნაწილი 3-ის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მეთოდები. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

დ.ა) სრული მიგრაციის შესამოწმებლად, შესაძლებელია გამოთვლილ იქნეს მიგრაციის პოტენციალი. მისი გამოთვლა ხდება იმ მიგრიებადი ნივთიერებების ნარჩენი რაოდენობის მიხედვით, რომელიც დგინდება მასალიდან ან ნაკეთობიდან (საგანი) მისი სრული ექსტრაქციით;

დ.ბ) სრული მიგრაციის შესამოწმებლად, შესაძლებელია სურსათის იმიტატორების ჩანაცვლება, იმ პირობით, თუ სამეცნიერო მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ სურსათის იმიტატორის შემცველი იწვევს მიგრაციას, სულ მცირე ისეთივე სიმკაცრით, რომელიც წარმოიქმნება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №3-ით განსაზღვრული სურსათის იმიტატორების გამოყენების შემთხვევაში.

ნაწილი 4. შესწორების კოეფიციენტები, რომლებიც გამოიყენება მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგებისა და მიგრაციის ზღვრების შედარებისას

ა) ლიპოფილური ნივთიერებებისთვის, რომელთათვისაც ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №1-ის მე-7 სვეტში მითითებულია ცხიმის შემცველობის შემცირების კოეფიციენტი (FRF), სპეციფიკური მიგრაცია შესაძლებელია შესწორდეს FRF-ით. FRF-ის განსაზღვრა ხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით: $FRF = (g \text{ ცხიმისა კგ სურსათში}) / 200 = (\% \text{ ცხიმი} \times 5) / 100$.

ბ) FRF- ის გამოყენება ხდება შემდეგი პირობების შესაბამისად:

ბ.ა) მიგრაციის ზღვართან შედარებამდე, მიგრაციის გამოკვლევის/ტესტირების შედეგები გაყოფილი უნდა იქნეს FRF-ზე;

ბ.ბ) FRF შესწორება არ გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

ბ.ბ.ა.) როდესაც მასალები ან ნაკეთობები (საგნები) შეხებაშია ან გამიზნულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ სურსათთან შეხებისათვის;

ბ.ბ.ბ) მასალები ან ნაკეთობები (საგნები), რომელთათვისაც პრაქტიკულად შეუძლებელია სურსათის რაოდენობისა და სურსათთან შეხებაში მყოფი ზედაპირის ფართობს შორის ურთიერთკავშირის დადგენა, მაგალითად მათი ფორმის ან გამოყენების გამო და მიგრაციის გამოთვლა ხდება პირობითი ზედაპირის ფართობის/მოცულობის გამოყენებით, 6 დმ²/კგ შესწორების კოეფიციენტის გამოყენებით;

გ) FRF-ის გამოყენებამდე, სპეციფიკური მიგრაცია სურსათში ან სურსათის იმიტატორში არ უნდა აღემატებოდეს 60 მგ/კგ-ს;

დ) როდესაც გამოკვლევა/ტესტირება ტარდება D2 ან E სურსათის იმიტატორებში და გამოკვლევის/ტესტირების შედეგების შესწორება ხდება შესწორების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია დანართი №3-ის ცხრილი №7-ით, ეს შესწორება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს FRF-თან ერთად, ამ ორი ფაქტორის გამრავლებით. კომბინირებული შესწორების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 5-ს, თუ ცხრილი №7-ით განსაზღვრული შესწორების კოეფიციენტი არ აღემატება 5-ს.